საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჯორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 23 აპრილი. 2020 წ. №57 (8983) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გურამ ოდიშარია:

ბევრად მეტი, ვიდრე სოლიდარობა ⑥

შხამიანი ვირუსის ფსიქოლოგიური პორტრეტი

ქართველთა და აფხაზთა ისტორიის მეციხოვნე



ზურაბ ანჩაბაძე - დიდი აფხაზი მეცნიერი ⑤

100

საგანგებო მდგომარეობა გახანგრძლივდა

საქართველოს პარლამენტმა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის 22 მაისამდე გახანგრძლივებას მხარი დაუჭირა.

საკითხი გუშინ პარლამენტის საგანგებო სესიის პლენარულ სხდომაზე განიხილეს და კენჭი უყარეს. საგანგებო მდგომარეობის 22 მაისამდე გახანგრძლივებას 97-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ათი წინააღმდეგი წავიდა.

საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივების საკითხზე სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ისაუბრა. ასევე, მთავრობის მხრიდან საკითხი მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა წარადგინა.

იგნორი და დაცინვა - ვაქცინა კორონა-ცების წინააღმდეგ

არ დაგიმალავთ და საზოგადოებას და პირადად მე უკვე ყელში ამომივიდა კორონაცების აშკარა, დაუფარავი ბოღმა და მავნებლობა. მათი მარაზმი და მათზე სერიოზული პასუხების გაცემა.

ყელში ამომივიდა მედიის დიდი ნაწილის მონური მორჩილება მათი ე.წ. „იდეებისადმი“, მათი მხრიდან მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ტერორი, საბედნიეროდ, ერთი საკმაოდ მომგებიანი გამოსავალი ვიპოვე: არანაირი კამათი, არანაირი სერიოზული განხილვა. მხოლოდ და მხოლოდ დაცინვა, ან იგნორი.

დამერწმუნეთ ეს მეთოდი ძალიან კარგად იმუშავებს, რადგანაც ისინი როგორც ვამპირები იმით სულდგმულობენ, რომ ჩვენ დადებითი ენერგია წაგვართვან, მოგვადუნონ და ნიჰილიზმი ჩაგვინერგონ.

ამ მეთოდს მეორე მხარეც აქვს. აბა როგორ შეიძლება სერიოზულად გასცე პასუხი მირას ყოვლად არაადექვატურ განცხადებებს, ან ვაშაძე Junior-ის სწრაფი ტესტების შემოტანის „მოთხოვნებს“, რომელიც ე.წ. გაფუჭებული პატეფონივით ჩაიხვია და ალბათ დილით მეუღლეს საუზმის ნაცვლად სწრაფ ტესტებს სთხოვს.

იხ. 7 გვ.

შევინარჩუნოთ ზომიერება, სულის სიმშვიდე და ღმერთთან სიახლოვის სიხარული!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, გერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

ქრისტე აღდგა!

დღეს სასოება წვიმს ქვეყანასა ზედა, ხარობს ეკლესია და მისი შვილნი... გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთიდან, მკვდრეთით აღდგა ძლიერებით შემოსილი, ტყვენი ცოდვისანი განათავისუფლა და მაცხოვნებლად კაცთა გამოჩნდა...

– გიხაროდეთ! მისი ძალის დაფარვა სურდათ და ვერ შეძლეს, მისი სიმართლის დამცირება უნდოდათ და ვერ მოახერხეს, ვერაგობა განიზრახეს და ჯეშმარიტების გამობრწყინვებით გაწბილდნენ (წმ. იოანე მთავარეპისკოპოსი), რადგან ქრისტე აღდგა! აქებდით მას მართალნი ქვეყანისანი,

– მთავარნი და მსაჯულნი, ჯაბუკნი და ქალწულნი, ძლიერნი და უძლურნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა... ყოველი სული აქებდით უფალსა (ფსალმ. 148,11-12; 150,6).

– რა არის ამ საყოველთაო სიხარულის მიზეზი?

– ვიცით, რომ შემოქმედისაგან და სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე სამოთხისაგან ჩვენს პირველმშობელთა განდგომამ როგორც ადამიანებისთვის, ისე მათდამი, ღვთის განგებით, დაქვემდებარებული მთელი ხილული სამყაროსათვის, შედეგად მოიტანა ხრწნადობა, რადგან შემოხდა სოფლად ცოდვა და მასთან ერთად სიკვდილი. ცოდვაც და სიკვდილიც ბოროტების გამოვლინებაა და დაცემის შედეგი. მათი ბატონობა ათასწლეულთა მანძილზე გაგრძელდა, ვიდრე ამქვეყნად არ მოევლინა ძე ღვთისა, რომელმაც თავის ადამიანურ ბუნებაში დაამარცხა კაცთა ყველა ნაკლოვანება, ყველა ცოდვის მიზეზი და პიროვნული სრულყოფილებით მოკლა სიკვდილი; მან მთელი ქვეყნიერება სიცოცხლისკენ შემოაბრუნა და თითოეულ ჩვენგანს გამოუწოდა ხელი დახმარებისა, რომ ჩვენც შევძლოთ ჩვენს პიროვნულ ცოდვათა დაძლევა, საღვთო მადლის შეძენა და სიკვდილზე გამარჯვების მოპოვება.

იხ. 3 გვ.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 აპრილს

სალომე ზურაბიშვილი: მივიღეთ ფინანსური დახმარების პირველი მასშტაბური ნაკადი, რომლის საფუძველზე კრიზისის დაძლევის გეგმა მუშავდება

საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, კორონავირუსისგან გამოწვეული კრიზისიდან გამოსვლა ყველა ქვეყანაში მძიმე და რთული იქნება.

„არავის, თუნდაც ძალიან მდიდარ და ჩვენზე ბევრად მდიდარ ქვეყნებს, არ აქვთ არც მზა ფინანსური რესურსები, არც სასწაულმოქმედი კომპლექსური ანტიკრიზისული გეგმა“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტში, სადაც გუშინ „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ ბრძანება დასამტკიცებლად წარადგინა.

ზურაბიშვილის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ შეძლო და ერთ-ერთმა პირველმა მიმართა საერთაშორისო საფინანსო და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებს.

„ჩვენი დამაჯერებელი ნაბიჯების საპასუხოდ მივიღეთ ფინანსური დახმარების პირველი მასშტაბური ნაკადი, რომლის საფუძველზე მუშავდება სწორედ კრიზისის დაძლევის გეგმა.

ამ დღეებში მთავრობისგან ამ გეგმის პრეზენტაციას ველოდებით და მაქვს მოლოდინი, რომ იგი უპასუხებს იმ მოქალაქეებისა და საწარმოების საჭიროებებს, რომლებსაც სახელმწიფოსგან გადაუდებელი დახმარება სჭირდებათ, სოლიდარობისათვის ყველა მზად უნდა ვიყოთ“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის განმარტებით, სწორედ იმიტომ, რომ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის სიმძიმე შემცირდეს და მოსახლეობაზე მისი შედეგები შემსუბუქდეს, საჭიროა, საგანგებო მდგომარეობა დღეს შენარჩუნდეს.

* * *

დღეს პოპულიზმისა და ცრუ დაპირებების დრო არ არის, კრიზისიდან გამოსვლა ყველა ქვეყანაში მძიმე და რთული იქნება

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, ყველა მონაცემებიდან გამომდინარე, სიტუაციის მართვისთვის, აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივება.

„ამ გადაწყვეტილების გარშემო, ისევე როგორც ერთი თვის წინ, უნდა ვიყოთ ერთიანი, რათა საზოგადოებამ ბოლომდე გააცნობიეროს, რამდენად მნიშვნელოვანია მეორე ეტაპის ისევე წარმატებულად მართვა, როგორც ეს პირველ ეტაპზე შევძელით. დღეს საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების აუცილებლობაზე განსხვავებული აზრი ვერ იქნება. ყველამ უნდა დავუჯეროთ ჯანდაცვის ექსპერტებს, ექიმებს, ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო რეკომენდაციებით და პრაქტიკით. ზოგიერთი დღეს ანტიკრიზისულ გეგმას ახლავე ითხოვს. ამ გეგმის აუცილებლობაშიც ყველა ვთანხმდებით, თუმცა ეს ძალიან ლეგიტიმური მოთხოვნა არ უნდა გახდეს საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შეფერხების მიზეზი. დღეს პოპულიზმისა და ცრუ დაპირებების დრო არ არის. კრიზისიდან გამოსვლა ყველა ქვეყანაში მძიმე და რთული იქნება..., – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის განმარტებით, ამ ფონზე ექიმების მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებები მიუღებელია.

„ამიტომ მე მგონია, არ შეიძლება, რომ ამ დროს ექიმების და მთელი ჯანდაცვის პერსონალის თავდადებული ბრძოლის მიუხედავად, მათ მიმართ ისმოდეს შეურაცხმყოფელი განცხადებები. ეს ჩვენ არ გვეკადრება. ყველა მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შედეგია ის, რომ დღემდე ვინარჩუნებთ სხვებთან შედარებით დაბალ მაჩვენებლებს და ვიმსახურებთ მაღალ საერთაშორისო შეფასებას“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

არჩილ თალაკვაძე: ალოგიკურია საუბარი იმაზე, რომ როდესაც გავრცელების პიკს ველოდებით, საგანგებო მდგომარეობა საჭირო აღარ არის

არჩილ თალაკვაძის თქმით, პრემიერ-მინისტრი ამ კვირაში წარუდგენს საზოგადოებას გეგმას როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სკითხებზე.

„მსოფლიოში გრძელდება პანდემია. ჩვენს ქვეყანაში არის იმაზე ბევრად მეტი შემთხვევა, ვიდრე იყო მაშინ, როცა მივიღეთ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გადაწყვეტილება.შესაბამისად, დღეს საუბარი იმაზე, რომ ცოტა შემთხვევების დროს გვჭირდება საგანგებო მდგომარეობა და დღეს, როდესაც ბევრად მეტი შემთხვევა გვაქვს და თან გავრცელების პიკს ველოდებით, აღარ არის საჭირო, ვფიქრობ ,რომ არ არის ლოგიკური და საფუძვლიანი“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილია საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება, ჩართულობა და გამჭვირვალობა.

„რაც შეეხება გეგმებს, საქართველო, ისევე, როგორც რამდენიმე სხვა ქვეყანა, რომელიც არის კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში – ეს არის ავსტრია, ჩეხეთი, ახალი ზელანდია, გერმანია, ავსტრალია, ამ ქვეყნებთან ერთად დროში თუ გაინტერესებთ, ჩვენც დროში სწორედ მაგ პერიოდში ვასრულებთ მუშაობას ეკონომიკური და სოციალური დახმარების და საგანგებო მდგომარეობიდან გამოსვლის გეგმაზე. ეს სხვადასხვა საკითხებია და ამ კვირაში, გარწმუნებთ, რომ დეტალური ინფორმაცია უკვე გექნებათ თქვენც და საზოგადოებასაც“, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

გია ვოლსკი: საგანგებო მდგომარეობა არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცხოვრებასა და ჩვენს პოზიციაზე

„სამწუხაროდ, ჩვენთან ნებისმიერი თემა პოლიტიკურ სიბრტყეზე განიხილება, იმ საკითხებზე ბჭობენ, რაც საარჩევნო სისტემას შეეხება და იმაზე, როგორ მოხდება ეს საგანგებო მდგომარეობის დროს. საგანგებო მდგომარეობა არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცხოვრებაზე და არც ჩვენს პოზიციაზე. გვინდა, რომ საარჩევნო თემატიკა ივნისში განვიხილოთ და ივლისში დავამთავროთ. ვისაც საღი აზრი გააჩნია, უნდა გაათვითცნობიეროს, ისეთ ვითარებას ველოდებით, რომ საარჩევნო ცვლილებებზე საუბარი გაცილებით უკეთესი იქნება“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისი თქმით, თუ არჩევანი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის დადგება, რა თქმა უნდა, არჩევანი სიცოცხლეზე გაკეთდება.

დაკაუზებული ეკონომიკა ქვეყანას მილიარდობით ლარის ზარალს მიაყენებს

კორონავირუსის გამო ქვეყანა მილიარდობით ლარს კარგავს, ხოლო მთავრობის ეკონომიკურ გუნდში ფინანსურ დანაკარგთან დაკავშირებით პროგნოზი ჯერ არ კეთდება. ამ ფონზე სპეციალისტები ზარალს ითვლიან და აცხადებენ, რომ ეპიდემია ქვეყნის ეკონომიკას, მეორე კვარტალში დაახლოებით 3-დან 5 მილიარდ ლარამდე დააზარალებს, რაც სამომავლოდ ქვეყანაში სერიოზულ ფინანსურ პრობლემას შექმნის.

ფინანსისტი **ზვიად ხორგუაშვილის** თქმით, ამ ეტაპზე ზუსტი მონაცემების დათვლა შეუძლებელია, თუმცა, როდესაც მთელი ქვეყანა გაჩერებულია, ეკონომიკა უახლოვდება პესიმისტურ სცენარს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ეკონომიკა 7-8%-ით შემცირდება.

„ამ ეტაპზე მონაცემების ზუსტი დათვლა შეუძლებელია, მაგრამ არის კვლევები, მათ შორის „გალტ&თაგარტის“, რომელიც ოპტიმისტურ, საშუალო და პესიმისტურ სცენარს ასაჯაროებს, რაც მოიაზრებს იმას, თუ როგორი იქნება ეკონომიკური ზრდა. ოპტიმისტურ სცენარში ვიზრდებით 2%-ით,რეალურ სცენარში 2%-ით ვმცირდებით და პესიმისტურ სცენარში დაახლოებით 6-7%-ით ვმცირდებით. ახლა როდესაც მთელი საქართველო გაჩერებულია უფრო და უფრო ვუახლოვდებით პესიმისტურ სცენარს. უფრო იზრდება იმის შანსი, რომ ეკონომიკური ვარდნა 2%-ზე მეტი იქნება.

მაგრამ თუ ქვეყანაში გვყავს დაახლოებით 850 000 დაქირავებით დასაქმებული და ამას ემატება 950 000 თვითდასაქმებული, აქ შეგვიძლია რაღაც გათვლები გავაკეთოთ. 850 000 დაქირავებით დასაქმებულიდან 30-35% პესიმისტური სცენარით ან სამსახურიდან გაუშვან ან შემოსავალი დააკლდებათ. გადასახადების გადამხდელების საშემოსავლო ბაზა დაახლოებით არის 17 მლრდ. ლარი, რომელიც იბეგრება 20% საშემოსავლო გადასახადით. 17 მილიარდი რომ გავყოთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე, გამოდის 4500 ლარი ერთ სულ მოსახლეზე. ბევრ ადამიანს დაახლოებითი შემოსავალი 700 ლარი აქვს, ამას თუ 30% კიდევ მოაკლდება, გამოდის რომ ოჯახებს დარჩებათ კიდევ უფრო ნაკლები შემოსავალი.

ამ ეტაპზე პირდაპირ რიცხვების თქმას მოვერიდები და არც გვაქვს დათვლილი, თუმცა, დარტყმა იქნება სერიოზული, რადგანაც ერთ თვეზე მეტია, მთელი ქვეყანა გაჩერებულია, არავინ არ მუშაობს და ის შემოსავლები, რომელიც ქვეყანაში გადმორიცხვების, ტურიზმითა და ინვესტიციებით შემოდიოდა, აღარ შემოდის. გარდა ამისა, მოსახლეობა კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დგას და ეს არის ინფლაცია, რომელიც ისედაც განახევრებულ შემოსავლებს დიდ დარტყმას აყენებს“, – ამბობს ზვიად ხორგუაშვილი.

ფინანსისტის განცხადებით, ქვეყნის მასშტაბით ათიათასობით ოჯახის შემოსავალი იყო ტურიზმიდან, ამას ემატებოდა გადმორიცხვები, რომელიც მკვეთრად შემცირდა.

სტატისტიკოს **სოსო არჩვაძის** თქმით, ამ ეტაპზე, მხოლოდ ვარაუდია შესაძლებელი, რადგან ეკონომიკა დაპაუზებულ რეჟიმშია და დანაკარგის მხოლოდ მიახლოებით ვარიანტზე შეიძლება ვიმსჯელოთ.

„ზარალის ზუსტი მასშტაბების დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ზუსტი რიცხვები მაშინ გვექნება, როდესაც დასრულდება კრიზისი ან მის დასრულებას მკაფიო ნიშნები ექნება. მანამდე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია. ეკონომიკა დაპაუზებულ რეჟიმშია და აქედან შეიძლება იმ დანაკარგის მიახლოებითი განსაზღვრა. მაგალითად, ტურიზმის წილი, რომელიც ასევე გაჩერებულია, ქვეყნის ეკონომიკაში არის 8%-ზე მეტი, რაც არის მთლიანი შიდა პროდუქტის, 2020 წლის პარამეტრები რომ ავიღოთ, 4 მლრდ ლარი.

ზარალმა მხოლოდ ამ დარგის ხარჯზე შესაძლოა 3 მლრდ. ლარს მიაღწიოს, მაგრამ ტურიზმი მარტო ერთი დარგი არ არის, ასევეა სამეურნეო კავშირები სხვა სფეროებთან, ტრანსპორტი, კომუნიკაცია, კვების პროდუქტების წარმოება და მიწოდება. ჯაჭვური რეაქცია კი გამოიწვევს მიწოდება მოთხოვნის მკვეთრ შემცირებას. ამიტომ ჩემს მიერ დასახელებული თანხა, შესაძლებელია კიდევ გაიზარდოს, ამიტომ არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ ასახელებენ იმ რიცხვს, რა ზარალი შეიძლება მიადგეს როგორც ქვეყანას ასევე თითოეულ ადამიანს“, – ამბობს არჩვაძე.

სტატისტიკოსის აზრით, სამომავლოდ ასევე მძიმედ აისახება ეკონომიკურ კრიზისზე იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც დღეს უშემოსავლოდ დარჩნენ. **„ამჟამინდელი კრიზისი, რომელიც სამედიცინო-ბიოლოგიური წარმომავლობისაა და გარე ფაქტორს წარმოადგენს, მისი „მძევალი“ აღმოჩნდა ჩვენი ეკონომიკა“,** – ამბობს სოსო არჩვაძე.

ნათია ლომიძე

შევინარჩუნოთ ზომიერება, სულის სიმშვიდე და ღმერთთან სიახლოვის სიხარული!

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

(პირველი გვერდიდან) მაცხოვარმა ჩვენს ყოფას სხვა აზრი მისცა. მანამდე ნებისმიერი ადამიანი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მიდიოდა, მათ შორის, ძველი აღთქმის წმინდანნიც. აღდგომის დღემ კი გამორჩეული ბრწყინვალება შესძინა ჩვენს ყოველ სათნო სიტყვასა და აზრს, ყოველ კეთილ საქმესა და მოქმედებას, სხვა სიმაღლეზე ავიდა სათნოებანი და ყოველივე ეს ჩვენს საგზლად იქცა ღვთის წინაშე. ამიტომაც, ქრისტიანი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც კი იმქვეყნიური მარადიული სიცოცხლის მოლოდინითაა აღსავსე. ესჩრაფვის რა სიკვდილის დამარცხებასა და ღმერთთან მარადიულ მყოფობას, ცდილობს, წუთისოფელში დასძლიოს ყოველივე ის, რამაც კაცთა მოდგმაში ხრწნილება დათესა და წუთისოფელი დაამძიმა და დაამახინჯა.

ქრისტიანის ცხოვრება არ არის სწორხაზოვანი. ამ გზაზე ბევრია განსაცდელი, შეცდომა, დაცემაც, მაგრამ თუ არის ჭეშმარიტი რწმენა და მონდომება, სურვილი ჩინსვლისა და განწმენდისა, გამარჯვება აუცილებლად მიიღწევა. ამიტომაც ქრისტესთან, მეორე ადამთან, მეორედ შობით (ნათლობით) დაკავშირებული პიროვნება კვლავაც საჭიროებს ცოდვათაგან გათავისუფლებას და სულიერ შეწევნას, რაც ეკლესიაში ხორციელდება. ტაძარი როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში, არის განსაკუთრებული ადგილი ღვთის მყოფობისა, ღვთის მეუფების ქადაგებისა; ქრისტეს ეკლესია კი, სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად, ქრისტეს მისტიური სხეულია; ეს ერთი მთლიანობაა, რომლის თავიც თვით უფალია. აქ აღსრულებული ყოველი ჟამისწირვა არის წარმოჩენა მაცხოვრის ამქვეყნად შობისა და ცხოვრებისა, ჯვარცმისა და აღდგომისა, ამაღლებისა და მეორედ მოსვლისა; უსისხლოდ ძღვნის შემწირველ მოძღვრებთან ერთად მრევლიც ყოველ ლიტურგიაზე ამ მოვლენების თანაზიარი ხდება და ღმერთთან მიახლების საშუალება ეძლევა, განსაკუთრებით კი – წმინდა ზიარებით. ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი ეს უდიდესი საიდუმლო თვით მაცხოვარმა დაგვიდგინა ვნების ხუთშაბათს. წმინდა ზიარება არის ზეციური საკვები, არა წარმოსახვითი ან სიმბოლური, არამედ ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი ქრისტესი, რომელიც მოგვეცა ჩვენი სულისა და ხორცის განსაკურნებლად.

მისი უღირსად მიმღებნი სასჯელს განიკუთვნებენ, ხოლო გულწრფელად მონანულნი და სასულიერო პირის წინაშე თავის უძლურებათა დაუფარავად მაღიარებელნი აღივსებიან მადლით, რომელიც უჩვეულოდ ზრდის ჩვენს შინაგან სამყაროს, ჩვენს გულსა და გონებას და შეეწევა ფიზიკურ ძალებს. მისი წინა სახე ძველ აღთქმაში იყო ზეციური მანანა. როგორც ცნობილია, იგი ებრაელთა ერს, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, რწმენაში განსამტკიცებლად ღვთისგან საკვებად ყოველდღიურად ეძლეოდა; რომ არ ყოფილიყო ზეციური მანანა, 40 წლის მანძილზე ყამირ და მოუსავლიან გზებზე მავალი ამდენი ხალხი ფიზიკურად ვერ გადარჩებოდა. როგორც მანანას გარეშე რჩეული ერი წმინდა მიწამდე ვერ მიაღწევდა და იქ ვერ დაემკვიდრებოდა, ასევე აღსარებისა და წმინდა ზიარების გარეშე, ადამიანი ცათა სასუფეველს ვერ მიაღწევს და ვერ დაიმკვიდრებს, რადგან ცოდვასა და სიკვდილს მარტო ვერ სძლევს და ვერც მარადიული სიცოცხლის ნეტარებით აღივსება.

ამიტომაც ბრძანებს უფალი: „მე ვარ პური სიცოცხლისა, თქვენმა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში და მოკვდნენ, ხოლო მე ვარ ცოცხალი პური, რომელიც ზეციდან გარდამოვედი... პური რომელსაც მე გავცემ, ჩემი სხეულია, რომელსაც ქვეყნიერების სიცოცხლისთვის გავცემ... ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ, თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში... ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის შემსმელი ჩემში რჩება და მე მასში“ (ინ. 6. 48,58).

ეს საკვირველი სინამდვილე ყოველ წირვაზე აღესრულება და მაცხოვარი, რომელმაც „ერთგზის შესწირა თავი ჩვენთვის... და მარადის დაიკვლის განმწმენდელად მიმღებელთა თვისთა“, რათა შთაჰბეროს სული ცხოველი ამაღორძინებელი და ზეცასთან დამაკავშირებელი.

იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შემდეგ მართალთათვის სიკვდილის საკვრელნი აღარ არსებობს. ამ დღეს მაცხოვარმა თავად მოიხილა ჯოჯოხეთი და იქიდან ამოიყვანა ადამი და ევა, ასევე სხვადასხვა დროს გარდაცვლილ ძველაღთქმისეულ მართალთა სულნი და ღვთის საუფლოში დაამკვიდრა ისინი. რაც შეეხება ახალი აღთქმის მართალთ, ანუ ღვთისსათნო ქრისტიანებს, ისინი გარდაცვალებისთანავე სრულიად ახალ, მადლითა და სიხარულით სავსე ცხოვრებას იწყებენ უფლის სავანეებში. „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ: ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, და სწამს იგი, ვინც მომავლინა, აქვს საუკუნო სიცოცხლე და არ წარუდგება სამსჯავროს, არამედ გარდაიცვალება სიკვდილიდან სიცოცხლეში“ (ინ. 5,24), – ბრძანებს მაცხოვარი.

თუმცა სრული ნეტარებისთვის და დაცემამდელი მდგომარეობის აღდგენისათვის აუცილებელია სულმა თავისი სხეულიც შეიმოსოს. ჩვენ ვიცით, რომ „როგორც ქრისტემ აღადგინა თავისი თავი, ასევე აღადგენს ყველა მისიანს“ (I კორინ. 15,23), ოღონდ მეორედ მოსვლის შემდეგ და ეს ჟამი ყველასთვის ერთდროულად დადგება; პირველმშობლების დროიდან მოყოლებული, ვიდრე ქვეყნის აღსრულებამდე მყოფნი ღვთისასთნო სულნი სულიერ სხეულს შეიმოსავენ და სრული სიხარულით ყველა ერთად განიხარებს (ებრ. 11,40); ცოდვილნიც შეიმოსავენ უხრწნელ სხეულს, ოღონდ მარადიული ტანჯვისთვის. საყოველთაო აღდგომით, ვიბრუნებთ რა უკვდავ ცხოვრებას, ვიძენთ სრულყოფილ ერთობას ჩვენს ახლობლებთანაც, რომელთანაც სიკვდილმა გაგვყარა, ვიძენთ სრულყოფილ კავშირს ღმერთთან და წმინდანთა დასთან. ამიტომაც ბრძანებს იესო ქრისტე „ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს (ანუ ზიარებით მადლის მიმღებს) საუკუნო სიცოცხლე აქვს და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს... და ამ პურის მჭამელი უკუნისამდე იცოცხლებს“ (ინ. 6.56,58).

ასეთი ენით გამოუთქმელი საღვთო სიხარული მოგვანიჭა აღდგომის დღემ და იქცა იგი ჩვენთვის დღესასწაულთა დღესასწაულად, ზეიმთა ზეიმად; ყოველი კვირა დღეც მის სიხარულს ატარებს და ცისკრის ჟამზე მონაცვლეობით იკითხება აღდგომასთან დაკავშირებული 11 ამონარიდი ოთხი სახარებიდან. ამასთან, აღდგომის ზეიმის განსაკუთრებულობა განსაზღვრავს მთელი წლის მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების ციკლს. **განახლებისა და გადარჩენის, სიცოცხლისა და სიხარულის, იმედისა და ღმერთთან მშვიდობის მომტან ამ დიდებულ დღეს, რა თქმა უნდა, უფერულდება ის განსაცდელიც, ამჟამად ჩვენი ქვეყანა და მსოფლიო რომ მოუცავს და ყველას ასე აშფოთებს. უცნაური ვითარება შეიქმნა, ადამიანები, ერთი მხრივ, გაერთიანდნენ სიცოცხლისთვის საშიში საერთო საფრთხის წინააღმდეგ და ამავე დროს, ჩაიკეტნენ თავის ქვეყანაში, თავის ქალაქსა თუ სოფელში, თავის სახლში. მათ დაფიქრების საშუალება მიეცათ და აღმოაჩინეს ის რეალობა, რომ აზრი დაკარგა გვქონდა რამემ, რაც გუშინ დიდად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. სამაგიეროდ წინა პლანზე წამოიწია ისეთმა მიმართულებებმა, რასაც ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამასთან, სახელმწიფოებმა თვითუზრუნველყოფის საჭიროება დაინახეს და სხვაზე დამოკიდებულის მდგომარეობა წამგებიანი გახდა. ყველა ქვეყნისთვის, და მათ შორის საქართველოსთვის, პირველი რიგის ამოცანად იქცა ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება. უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი ვირუსის პროვოცირებამ პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში დიდი შიში დანერგა და მათი მზერა ღვთისკენ მიმართა. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის, ქრისტიანი პროვოცირებას მადლიერებით იღებს და ყველაფერში ღვთის ხელს ხედავს, მასზე სასოებს, მისით ხარობს და, ამასთან, ცდილობს, გამოძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ ვითარებაში.**

გავიხსენოთ წმ. გრიგოლ პალამას სიტყვები მრევლისადმი: ამის წინ, მრავალი საშიშროება შეგვემთხვა, მერე გაგვასახლეს და თავს დაგვატყდა სენიც, ყველა საშინელებაზე უფრო საშინელი; ქრისტეს მშვიდობით აღვსილნი მაშინაც მხოლოდ ჩვენ ვზეიმობდით ყველასგან დევნილნი... და ტაჯვა-წამების თითოეული ადგილი ჩვენთვის იქცა სადღესასწაულო სივრცედ. ჩვენი ძმების უმრავლესობა, ზეაღმატებული სიყვარულისა და ძმათმოყვარეობის გამო, თავს არ ზოგავდა, უშიშრად ემსახურებოდა სნეულებს. მრავალი მათგანი, ვინც ავადმყოფებს უვლიდა და სხვებს განამტკიცებდა, თვითონაც დასნეულდა და გარდაიცვალა. ამგვარად ტოვებდნენ მიწიერ ცხოვრებას ჩვენს შორის საუკეთესონი. ღვთისმოსაობისა და რწმენის გამო ასეთი აღსასრული მოწამეობაზე ნაკლები როდია“ (გვ. 314-315).

ამგვარი სულისკვეთება ქრისტიანისათვის ახლობელია; თუმცა, რა თქმა უნდა, სიფრთხილეც გვმართებს, რომ არ განვცადოთ უფალი; ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ნების გარეშე ჩვენი თმის ერთი ღერიც არ დავარდება, მით უმეტეს, ჩვენი სიცოცხლეც და გარდაცვალებაც უფლის ხელშია. **მთავარია, შევინარჩუნოთ ზომიერება, სულის სიმშვიდე და ღმერთთან სიახლოვის სიხარული.** ეს კი ლოცვით და, რაც ყველაზე მთავარია, ღმერთთან სწორი პიროვნული დამოკიდებულებით, – ანუ რწმენით მიიღწევა. რწმენა ქვაკუთხედია ჩვენი არსობისა და განსაზღვრავს ჩვენი აზროვნებისა და ცხოვრების წესს. იგი ღვთით უნდა მოგვეცეს და მოგვეცემა კიდეც, თუ მოვინდომებთ და ვიღვაწებთ. შევნიშნავთ იმასაც, რომ არ არის სწორი, მორწმუნე ნაწილმა ურწმუნონი (ან მცირედმორწმუნენი) დაადანაშაულოს და პირიქით. რწმენას უდიდესი ძალა აქვს და სულ სხვა შესაძლებლობებს ავლენს ადამიანში; გავიხსენოთ სახარება, როდესაც გალილეის ზღვაზე იესო გამოეცხადა მოციქულებს, უფლის მოწოდებაზე, – მასთან მისულიყო, პეტრეს ისეთი რწმენა დაეუფლა, რომ წყალზე, როგორც ხმელეთზე, ისე გაიარა, მაგრამ როგორც კი ეჭვი შეეპარა თავის შესაძლებლობებში და შეშინდა, მაშინვე დანთქმა დაიწყო, თუმცა, თხოვნის გამო, უფალმა იგი ისევ შეიწყალა და რწმენაში გააძლიერა.

გავიხსენოთ ისიც, განკურნების მთხოვნელს უფალი ეკითხება: სწამს თუ არა, რომ შესაძლებელია იმის აღსრულება ღვთისგან, რასაც ითხოვს და როცა იღებს დადებით პასუხს, დასძენს: „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“. ამიტომაც გვარიგებს მოციქული: „ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ“ (მთ. 21,22). მთელი წმინდა წერილი რწმენაზეა დაფუძნებული და აქ აღწერილი ამბებიც ურწმუნოებაზე რწმენის გამარჯვებას გვამცნობს, ოღონდ „ქრისტეში ძალა აქვს სიყვარულით მოქმედ მრწმენს“ (გალატ.5,6); **და მკვდარია რწმენა საქმეთა გარეშე ისევე, როგორც სხეული სულის გარეშე** (იაკ. 2,26). **„ჩვენ ღირსებით უნდა ვიდგეთ რწმენაში, სიყვარულსა და მშვიდობაში გონიერებით“** (I ტიმ. 2.,15) **და ვეცადოთ, შევინარჩუნოთ „სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით“** (ეფეს. 4,3); ამასთან არ უნდა შევშინდეთ და „ყველაფერში ავიღოთ სარწმუნოების ფარი, რითაც შევძლებთ ბოროტების გახურებულ ისართა დაშრეტას“ (ეფეს. 6,16) „სარწუნოების გარეშე კი შეუძლებელია ღმერთს სათნო ვეყოთ“ (ებრ. 11,6).

მადლობა უფალს, საქართველოში მრევლთან ერთად ტაძრებში წირვა-ლოცვა არ შეჩერებულა, არც აღდგომის ღამეს. ღვთის შეწევნით, ექიმების დახმარებით, ხელისუფლების ქმედებებით და მოსახლეობის პასუხისმგებლობით პანდემიას ჩვენთან დიდი პრობლემები არ მოჰყოლია. ინებოს ღმერთმა, სირთულეები არც შემდგომში შეიქმნას და საქართველოც და მსოფლიოც იხსნას ამ განსაცდელისგან. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ჩვენს მრევლს, რომელიც წესრიგის გამორჩეული დაცვით და რეკომენდირებული ნორმებით სიცივეში, ქარში, წვიმაში არ ერიდებოდა მსახურებაზე ღია ცის ქვეშ საათობით დგომას. აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახები. მინდა ასევე დავლოცო ის მორწმუნენი, ხანდაზმულნი და უძლურებაში მყოფნი, რომელნიც სახლებიდან ჩვენთან ერთად ლოცულობდნენ და ლოცულობენ.

ვლოცავთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას. ვლოცავთ უცხოეთში მყოფ ჩვენს სასულიერო პირებსა და თანამემამულეთ, იცოდეთ, მანძილის სიდიდე და საზღვრები ჩვენ ვერ დაგვაშორებს, ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის, თქვენ ლოცულობთ ჩვენთვის და ჩვენ ერთად ვართ. ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ასევე ვულოცავთ ბერძნებს, უკრაინელებს, რუსებს, სომხებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, უდინებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ლეკებს, ყოველ მკვიდრს საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ. ვულოცავთ ყველა ქრისტიანს და ქრისტეს ყველა მადიდებელს.

ვიხარებდეთ უფლისა მიმართ და ვიშვებდეთ ერნო, გულის კარი გავუღოთ უფლისმიერ ბედნიერებას და უშიშრად ვიქადოდეთ უძლურნი ძლიერებასა მისსა, მდაბალნი – მის მიერ ამაღლებასა, ჩაგრულნი, – სამართალსა, მოკვდავნი – უკვდავებასა. დღეს ამქვეყნად მყოფნი მორწუნენი და მარადიული ნეტარების მკვიდრნი მართალნი ერთად ვხარობთ და ვმადლობთ დაუსაბამოსა მამასა ღმერთსა, თანადაუსაბამოსა სიტყვასა ძესა და სულსა წმინდასა.

ვმადლობთ ყოვლადწმინდასა ღვთისმშობელსა და ვღაღადებთ:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

18 აპრილი, 2020 წ.



თენგიზ ცერცვაძე: ვირუსით ინფიცირების ამ ტემპს საქართველოს სამედიცინო სექტორი გაუძლებს!

სახელდახელო ინტერვიუ თენგიზ ცერცვაძესთან, რომელიც მუდამ საინტერესოა, რადგანაც პროფესორი თენგიზ ცერცვაძე ყველაზე იმედიანი და რწმენით სავსე კაცია კორონავირუსთან მებრძოლ ექიმთა ლაშქარში... რამდენი ხანი გაგრძელდება საქართველოში კრიტიკული პერიოდი, დადგება თუ არა ქვეყანა საყოველთაო კარანტინის წინაშე, როდის უნდა ველოდოთ კოლაფსს ჯანდაცვის სისტემაში?! – ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „აიპრესთან“ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ ისაუბრა.

ამჟამად ვთქვი და ახლაც ვიტყვი, ამ ეტაპზე საქართველოში კოვიდ-19-ის ეპიდემიის განვითარების სცენარი საზოგადოების ხელშია.

როგორ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას გამოიჩენს ქართველი ხალხი, ამაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ჯანსაღი მომავალი. თუმცა, ეს არ არის ყველაფერი. არსებობს საყოფაცხოვრებო პირობები, რამაც შეიძლება, დიდი როლი ითამაშოს ეპიდემიის გავრცელებაში ან შეზღუდვაში.

რასაც საქართველომ მიაღწია დიდი შრომის ხარჯზე, მონდომებით, უაღრესად სწორად გათვლილი საპასუხო ღონისძიებების ეფექტურად გატარებით, სამედიცინო სექტორის, ექიმების დაუღალავი შრომით და პროფესიონალიზმით, რაც გამოიხატება იმით, რომ ძალიან ცოტაა დღეს საქართველოში ინფიცირებულთა რიცხვი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ნამდვილად საამაყოა. დავითვალე და ევროპის 53 ქვეყნიდან, საქართველო ინფიცირებულების რაოდენობით და გარდაცვალების რაოდენობით 50-ე ადგილზეა.

ჩვენზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს ისეთ ჯუჯა სახელმწიფოებს, როგორიც არის მონაკო და ვატიკანი, ეს უნდა შევინარჩუნოთ! ეს დიდად არის დამოკიდებული როგორ პასუხისმგებლობას გამოიჩენს მთელი სამოქალაქო საზოგადოება.

„ახლა არის საქართველოსთვის კრიტიკული პერიოდი, რაც სავარაუდოდ, გაგრძელდება 2-3 კვირა, როცა უნდა გადაწყდეს, საქართველო შეინარჩუნებს ამ მსოფლიო მასშტაბებით გათვალისწინებულ ინფიცირებულთა ძალიან მცირე და გარდაცვლილთა მცირე რაოდენობას, თუ ჩვენთანაც ეპიდემია მიიღებს გავრცელების ისეთ დრამატულ სახეს, ისეთ არა კონტროლირებადი გახდება, როგორიც გახდა ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში“, – ამბობს ცერცვაძე.

ინფორმაცია, რომ საქართველო ახალი კორონავირუსით ინფიცირებულების რაოდენობას მალავს – ზღაპარია. პირიქით, ცერცვაძე დასძენს, რომ საქართველო სამაგალითო ქვეყანაა ინფიცირებულების და გარდაცვლილი პაციენტების რაოდენობის გამჭირვალობით.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორმა სისხლის პლაზმით მკურნალობაზეც ისაუბრა. მისი თქმით, სისხლის პლაზმით უმკურნალებენ მათ, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს:

– ჩვენ ვმუშაობთ პლაზმით მკურნალობაზე. ეს არ არის მარტივი. სათქმელად არის ადვილი გამოჯანმრთელებული ადამიანის პლაზმა გადაესხას ავადმყოფს, თუმცა, ეს სინამდვილეში ძალიან რთული პროცესია.

დონორი უნდა იყოს შესაფერისი, მას უნდა ჰქონდეს დამცავი ანტისხეულები შრატში, წინააღმდეგ შემთხვევაში გადასხმას აზრი არ ექნება, თუ არ შეიცავს საკმაოდ მაღალი კონცენტრაციით დამცავ ანტისხეულებს. ეს უნდა მომზადდეს, ყველანაირად უნდა გაისინჯოს პლაზმა. ხომ არ არის ეს დონორი სხვა დაავადების მატარებელი, რაც პლაზმის გადასხმისას წინააღმდეგ ჩვენებას გამოიწვევს. შემდეგ უნდა შეირჩეს ავადმყოფი, რომელიც მთელი რიგი პარამეტრებით შეთავსებადი უნდა იყოს ამ დონორის პლაზმასთან.

ყველაფერი ამის შემდეგ ხდება გადასხმა, რაც სათქმელად მარტივია, რეალურად ძალიან ძნელია, რაზეც მეტყველებს ის რომ ეს მეთოდი მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში მასობრივი ვერ გახდა. ყველგან ერთეული, ათეული გადასხმის შემთხვევებია და არა მასობრივი.

ჩვენ წინ ვართ ამ მიმართულებით. ჩვენ უკვე აღებული გვაქვს რამდენიმე დონორი, აღებული გვაქვს პლაზმა, ახლა ვათანხმებთ რაღაც პროცედურებს ამერიკის წამლის და საკვები პროდუქტების ადმინისტრაციასთან და ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან.

მათ აქვთ მთელი რიგი რეკომენდაციები და შეზღუდვები ამ პლაზმის გადასხმის, ვცდილობთ, ყველაფერი გავაკეთოთ ამერიკის საკვებისა და მედიკამენტების კონტროლის ადმინისტრაციის და ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების რეკომენდაციების მკაცრი დაცვით.

„აიპრესის“ კითხვაზე, მიუთითებს თუ არა დღევანდელი მონაცემები პიკზე, ცერცვაძე განმარტავს რომ საქართველოში დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა პიკის საფუძველს არ ქმნის. ამასთან, საქართველოში ახალი კორონავირუსის 350-600 შემთხვევა არ გამოიწვევს სამედიცინო სექტორის კოლაფსს.

„ვფიქრობ, ჯერ პიკზე არ ვართ. ყველაფერი უნდა განვიხილოთ. იმ მასშტაბებთან შედარებით, რაც ხდება ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ყველა ქვეყანაში. კი ბატონო, ბოლო დღეებში გამოვლინდა 30 შემთხვევა, 20 ან 15, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რომ ევროპის ქვეყნებში დღეში ვლინდება რამდენიმე ათასი ინფიცირებული, კვდება ასეული და ზოგიერთ ქვეყანაში ათასზე მეტი.

ჩვენთან, ეპიდემიის დაწყებიდან 2 თვე გავიდა და დაავადებულთა რიცხვი 400-ს გადასცდა. იქ ამდენი ავადმყოფი ნახევარ დღეში კი არა, 3-4 საათში ვლინდება. ამიტომ, ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ეს მეტყველებს იმაზე რომ საქართველოში, ყველა სტრუქტურაში საპასუხო ღონისძიება იყო დროული, ადეკვატური და ეფექტური. ყველა შემთხვევაში იყო გამოყენებული მყისიერი და პროპორციული რეაგირება.

ვიმეორებ, პიკი ჯერ არ არის, იქნება შემთხვევების მატება, მაგრამ დიდი იმედი მაქვს რომ შემთხვევების მატება იქნება რამდენიმე ათეული. დღეს 30 არის? შეიძლება იყოს 50-60, ეს არ იქნება რამდენიმე ასეული და ათასეული, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან მატების იმ ტემპს, რომელიც არის საქართველოში, ამას საქართველოს სამედიცინო სამსახური გაუძლებს ისე, რომ უზრუნველყოს ყველა პაციენტისთვის სარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება, როგორც ეს აქამდე კეთდებოდა.

ის ალგორითმები და პროტოკოლი, რომელიც საქართველოში მოქმედებს ამ ტესტირების გამოვლენის, მკურნალობის, ნაკადების მოძრაობის, ყველა ასეთ კომპონენტში, თუ რა უნდა ქნას მოსახლეობამ, რომელსაც რაღაც სიმპტომი გამოუჩნდება ან რაღაც რისკ ფაქტორი აქვს, ეს სისტემა მუშაობს უკიდურესად გამართულად.

ეს არის დარეკვა 144-ში, გადამისამართება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ოჯახის ექიმთან, არა ყველა ოჯახის ექიმთან, არამედ იმ ოჯახის ექიმთან, ვინც ამისთვის არის მომზადებული, გაიარა ტრენინგი, შემდეგ გადამისამართება დროის დაკარგვის გარეშე, თუ პაციენტს არ სჭირდება ოჯახის ექიმის ჩარევა, მხოლოდ რეკომენდაციაა, დარჩეს სახლში, თუ ოჯახის ექიმის ჩარევა არის საჭირო, მყისიერი გადამისამართება ცხელების ცენტრში მაქსიმუმ 24 საათში, ზოგჯერ უფრო ადრე, 12 საათში ხდება ზუსტი დიაგნოზის დასმა-ტესტირება. თუ დადებითია ტესტი, ხდება გადამისამართება კორონავირუსის ცენტრში. ამ კასკადს სამედიცინო სექტორი უზრუნველყოფს გამართულად.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა რაოდენობა იქნება პიკის პერიოდში. რაღაც კრიტიკული ზღვარი არსებობს, რასაც ვერ დავასახელებ, არავინ არ იცის, რამდენია – 1000 თუ 2000. არსებობს კრიტიკული ზღვარი, რის შემდეგაც ჯანდაცვის სისტემა ასეთ ხარისხიან მომსახურებას ვერ მიაწვდის საზოგადოებას და მოხდება ის, რაც მოხდა ევროპის სხვა ქვეყანაში...

ხშირად მეკითხებიან, რამდენია ეს მაჩვენებელი, რომლის შემდეგაც სამედიცინო სექტორი ვერ შეძლებს გამართული მომსახურების გაწევას. არავინ არ იცის ეს. ჯერ ახლოსაც არ ვართ 350-400-500-600 შემთხვევა არ გამოიწვევს სამედიცინო სექტორის კოლაფსს.

ჯერჯერობით სამედიცინო სამსახურის რეზერვი დიდია, რამდენჯერმე მეტია, ვიდრე დღეს პაციენტია. იმედი მაქვს, თუ შევასრულებთ რეკომენდაციებს, მაშინ პაციენტების რიცხვი მოიმატებს, მაგრამ არ გადაცდება იმ კრიტიკულ ზღვარს, როდესაც ჯანდაცვის სისტემა ეფექტურად ვეღარ შეძლებს დახმარების გაწევას...

თენგიზ ცერცვაძის თქმით, ქართველი მედიკოსები მკაცრად იცავენ წესებს პაციენტებთან ურთიერთობისას. სწორედ აღნიშნული წესების მკაცრი დაცვა განაპირობებს იმას რომ საქართველოს 16 ინფიცირებული მედიცინის მუშაკი ჰყავს და არა ათასობით ინფიცირებული მედიცინის მუშაკი, როგორც ეს ევროპის არაერთ ქვეყანაშია:

...ჩვენი ექიმები მაქსიმალურად იცავენ უსაფრთხოების წესებს, უბრალოდ, დაავადებაა ისეთი გადამდები, 100%-ით ვერ დაიცავ, შეუძლებელია! ზოგჯერ არ არის დიაგნოზი დასმული, არ იციან, რომ შესაძლოა პაციენტი ინფიცირებულია, ისინი მაინც იცავენ წესებს, თუმცა, არა ისე როგორც ინფიცირებულთან.

ბევრი ფაქტორია, როდესაც ვერ დაიცავ 100%-ით, 16 ინფიცირებული სამედიცინო მუშაკი ესეც მგონი რეკორდია მსოფლიო მასშტაბით. ყველა ქვეყანაში გაცილებით მეტი მედიცინის მუშაკია ინფიცირებული“...

რაც შეეხება საყოველთაო კარანტინს, თენგიზ ცერცვაძე დარწმუნებულია, რომ აქამდე საქმე არ მივა!..

„განსაცდელის შემდეგ მოდის სიხარული“

უჩვეულო, არატრადიციულ ვითარებაში შეეგება წლეულს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მართმადიდებლური სამყარო. დღესასწაულთან დაკავშირებით მოზეიმე მრევლს „აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი – „არიერგარდი“, უერთდება იმის ღრმა რწმენით, რომ განსაცდელს, რომლის დათმენის ჟამი დაგვიდგა, დავძლევთ უფლის, იესუ ქრისტეს შეწევნით. დავძლევთ იმ პრევენციული და თერაპიული მწყობრი, თანმიმდევრული ღონისძიებებით, რასაც მიმართავს სახელისუფლებო ინსტიტუტებით მთავრობა და ეკლესია.

„დღევანდელი კრიზისი ჩვენი რწმენის, ცხოვრების წესის, აზრებისა და ღმერთთან კავშირის გამოცდაა“. განსაცდელი აერთიანებს ადამიანებს და ახლა, როცა მთელი მსოფლიო დგას უკიდეგანო განსაცდელის პირისპირ, საბედნიეროდ, აქაც ისევე, როგორც ვირუსის პრევენციასა და განკურნებაში, სხვათა მიმართ ქრისტესმიერი სიყვარულით მადლმოსილი ქართველი ერი, უფლის შეწევნით, სამაგალითო და მანუგეშებელი გახდა სხვებისთვისაც. ჩვენ ვლოცულობთ მთელი სამყაროსთვის, თითოეული ადამიანისთვის.

ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა: „ვერ წარმომედგინა, რომ ქართველი ხალხი ასე მშვიდად, ასე ვაჟკაცურად შეხვდებოდა ამ განსაცდელებს – უნდა გვახსოვდეს, რომ განსაცდელის შემდეგ, მოდის სიხარული“.

ყველას გვმართებს დავიცვათ ღვთის მცნებები, გულით და გონებით გავაცნობიეროთ, შევისმინოთ, წმინდა მამების შეგონებები და ვირწმუნოთ, რომ – „უფალი არასდროს დაუშვებს ისეთ დაბრკოლებასა და განსაცდელს, რომელიც ჩვენს ძალებს აღემატება“.

მსოფლიოს ხალხები უთუოდ გახდება უხილავ მტერზე გამარჯვების ერთობლივი აღტაცების თანაზიარი. პირველი უსაზღვრო სიხარული და იმედი უკვე მოგვიტანა წმინდა ცეცხლის გარდამოსვლამ.

მსოფლიომ იხვედრა ცოდვის ტვირთი და საყოველთაოდ მანვე უნდა მოიხსნას იგი რწმენით და მონანიებით. უფალი მოწყალეა, გვანუგეშებს, დაგვიფარავს და სინანულით გამოფხიზლებულებს, გონებით და რწმენით დაგვაყენებს განახლებულ გზაზე.

ღმერთი იყოს ჩვენი და მსოფლიოს ხალხების მფარველი!



ჩვენთან არს ღმერთი!

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი – „არიერგარდის“ სახელით

გურამ საღარაძე

დიპლომატიური წარმომადგენლები თანამემამულეებს ეხმარებიან

22 აპრილის მონაცემებით, საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა ადგილზე დახმარება აღმოუჩინეს 11 428 მოქალაქეს, ხოლო სამშობლოში, მთავრობის ხელშეწყობით, საკოორდინაციო საბჭოს მიერ დაგეგმილი რეისების, სახმელეთო და საზღვაო გზებით, ორგანიზებულად დაბრუნდა 7 358 მოქალაქე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროს ვებგვერდზე ყოველდღე ახლდება მონაცემები კოვიდ-19 გავრცელების პირობებში უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დახმარების შესახებ. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული მონაცემები ორი სახის ინფორმაციას შეიცავს, კერძოდ სამშობლოში დაბრუნებამდე უცხოეთში მყოფ მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი ეტაპობრივი დაბრუნების სტატისტიკა.



დიდი აფხაზი მეცნიერი

ზურაბ ანჩაბაძის მოღვაწეობასთან უშუალოდაა დაკავშირებული აფხაზთმცოდნეობის განვითარება. მეცნიერის შემოქმედებით მემკვიდრეობაში არსებითი ადგილი უკავია აფხაზეთის ისტორიის კვლევას. ფუნდამენტური მონოგრაფიები „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან VI-XVII სს.“ (1959 წ.), „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“ (1964 წ.), „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევი“ (1976 წ.) სწორედ უშუალოდ აფხაზეთსა და აფხაზებს შეეხება. მეცნიერი გამოწვლილვით აანალიზებდა მეცნიერ-ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა მოსაზრებებს მისთვის საინტერესო საკითხებზე და სათანადო დასკვნებს აკეთებდა, მიუთითებდა პალეოკავკასიური ხალხების ისტორიულ-კულტურულ და ეთნიკურ კავშირზე.

გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე 100 წლის გახდებოდა. იგი დაიბადა ქ. გაგრაში, 1920 წლის 22 აპრილს, თავისი ინტელიგენტურობითა და კულტურული ტრადიციებით ცნობილ ოჯახში. ანჩაბაძეები ძველი აფხაზური თავადური გვარის წარმომადგენლები არიან. ეს საგვარეულო აქტიურად მონაწილეობდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1938 წელს ზურაბ ანჩაბაძე სოხუმის ა.მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე შევიდა. მან სტუდენტობის წლებშივე გამოიჩინა თავი, როგორც აქტიურმა, საქმის მოყვარულმა ახალგაზრდამ.

1941 წელს ზურაბ ანჩაბაძემ დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტი.

სიმონ ჯანაშიას ხელდასხმით იგი ჩაირიცხა ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. 1942 წელს იგი ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც 1945 წელს დაამთავრა. იგი დასპეციალდა მედიევისტიკაში - შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

1946 წლის ივნისიდან ზურაბ ანჩაბაძე მუშაობს ისტორიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მან საფუძვლიანი სამეცნიერო ცოდნა შეიძინა და უკვე 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სამეგრელო და აფხაზეთი XVII საუკუნეში“.

1956 წლის ნოემბერში ზურაბ ანჩაბაძე გადადის ქ. სოხუმში აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ, 1957-1958 წწ. ა.მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსსა და სპეცკურსს აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიაში.

1960 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ზურაბ ანჩაბაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (აფხაზთა ეთნიკური განვითარება და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები)“. 1963 წელს ზურაბ ანჩაბაძეს პროფესორის წოდება მიენიჭა.

1952-1955 წწ. ზურაბ ანჩაბაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსს.

ზურაბ ანჩაბაძის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო ფართოა. ცენტრალური ადგილი მის მუშაობაში უკავია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის მეზობელ ხალხებთან, განსაკუთრებით კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს. მისი მეცნიერული გამოკვლევების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოებია XVI-XIX სს. პირველი ნახევარი და ეხება უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს. მან გამოიკვლია საქართველოს რუსეთთან შეერთების ეკონომიკური შედეგები („Экономическое и политическое положение Грузии накануне ее присоединения к России“).

ზურაბ ანჩაბაძის მოღვაწეობასთან უშუალოდაა დაკავშირებული აფხაზთმცოდნეობის განვითარება. მეცნიერის შემოქმედებით მემკვიდრეობაში არსებითი ადგილი უკავია აფხაზეთის ისტორიის კვლევას. ფუნდამენტური მონოგრაფიები „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან VI-XVII სს.“ (1959 წ.), „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“ (1964 წ.), „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევი“ (1976 წ.) სწორედ უშუალოდ აფხაზეთსა და აფხაზებს შეეხება. მეცნიერი გამოწვლილვით აანალიზებდა მეცნიერ-ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა მოსაზრებებს მისთვის საინტერესო საკითხებზე და სათანადო დასკვნებს აკეთებდა, მიუთითებდა პალეოკავკასიური ხალხების ისტორიულ-კულტურულ და ეთნიკურ კავშირზე.

ზურაბ ანჩაბაძემ დიდი ამაგი დასდო აფხაზეთის ისტორიის ორტომეულის გამოცემას (1960, 1964 წწ.). ეს გამოცემა ფაქტობრივად პირველი სისტემური მეცნიერული გაშუქება იყო აფხაზეთის ისტორიისა. ზურაბ ანჩაბაძის თაოსნობით შეიქმნა უმაღლესი სკოლის პირველი საცდელი დამხმარე სახელმძღვანელო აფხაზეთის ისტორიაში.

ხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. ამ ასპარეზმა ახალი, მეტად საინტერესო კუთხით წარმოადგინა მეცნიერი. აქ გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, უნარი სამეცნიერო-სასწავლო კვლევების მართვისა, მაღალი პედაგოგიური ღირსებები, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის უნარი. 1979 წელს დაარსდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველ რექტორად დამტკიცებულ იქნა ზურაბ ანჩაბაძე. უნივერსიტეტში ზურაბ ანჩაბაძემ შექმნა საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის კათედრა, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში.

ზურაბ ანჩაბაძე აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ენციკლოპედიასთან. იგი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო და არც ერთი სტატია (მხედველობაში მაქვს ძირითადად აფხაზურ თემატიკაზე დაწერილი სტატიები) ზ. ანჩაბაძის ვიზის გარეშე არ დაბეჭდილა. მისი მეთაურობით დაიბეჭდა მასალა სპეციალურ ტომში, იყო ავტორი რიგი სტატიებისა. მან, განსვენებულ პროფ. გიორგი ძიძარიასთან ერთად დიდი ამაგი დასდო პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემას.

ზურაბ ანჩაბაძემ დაამუშავა და გამოაქვეყნა ნაშრომი „1905-1907 წლების რევოლუცია აფხაზეთში“, რომელშიც პირველწყაროებისა და საარქივო მასალების ფართოდ გამოყენების საფუძველზე, სავსებით სწორად აქვს გადმოცემული რევოლუციური მოძრაობის სურათი 1905-1907 წწ. აფხაზეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ანჩაბაძე ძირითადად შუა საუკუნეების მკვლევარი იყო, იგი XX საუკუნის ისტორიის, კერძოდ, საბჭოთა პერიოდის ისტორიის საკითხებსაც შეეხო. მას გიორგი ძიძარიასთან ერთად გამოქვეყნებული აქვს საინტერესო ნარკვევი ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის შესახებ.

ზურაბ ანჩაბაძე ეწეოდა ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევასაც. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი რეცენზია სხვადასხვა ისტორიულ საკითხზე. მონაწილეობა მიიღო არაერთი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში კავკასიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

ზურაბ ანჩაბაძეს 1961 წელს მიენიჭა აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1973 წელს — საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი იყო საჭოთა კავშირის IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კოლეგები აღფრთოვანებაში მოჰყავდა ზურაბ ანჩაბაძის სრულიად განსხვავებული ხასიათის მძონე ადამიანებთან ურთიერთობის, მათთან საერთო ენის გამონახვის უნარს.

არ შეიძლება ხაზგასმით, გამოკვეთილად არ აღვნიშნოთ, რომ ზურაბ ანჩაბაძეს მთელი მისი საქმიანობისას მხარში ედგა მეუღლე, ქალბატონი თინა ხიშვილი, მაღალი რანგის ინტელიგენტი; იგი წლების მანძილზე ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში მოღვაწეობდა და თავისი წვლილი აქვს შეტანილი ამ გამოცემის განხორციელებაში.

დღესდღეობით ზურაბ ანჩაბაძის გზას აგრძელებს მისი ვაჟი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე, შუა საუკუნეების ისტორიის, უპირატესად სამხედრო ხელოვნების ისტორიის თავგამოდებული მკვლევარი. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ბატონი გიორგი კვლავაც წარმატებით გააგრძელებს კვლევით საქმიანობას და თავის წვლილს შეიტანს ქართულ-აფხაზური რთული ურთიერთობების გამოკეთების საქმეში.

ჩვენ ყოველმხრივ დავუჭერდით მხარს ყოველ აფხაზ მეცნიერს, რომელიც ჩვენი ორი ხალხის დაახლოებაზე იზრუნებდა. შეგვეძლო ჩაგვეტარებინა ერთობლივი კონფერენციები, შეხვედრები სხვადასხვა საკითხებზე. მიმაჩნია, რომ დღევანდელი ღონისძიებების ერთობლივად ჩატარება ჩვენი მეგობრობის საძმეს კარგად წაადგებოდა.

ზურაბ ანჩაბაძე გარდაიცვალა 1984 წელს, იანვარში, 64 წლისა, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში. ეს მძიმე დანაკლისი იყო მეცნიერებისთვის, ქართული საზოგადოებისთვის. ზურაბ ანჩაბაძემ ღირსეული მეცნიერის სახელი დატოვა. მას გაჰყვა ჩვენი საზოგადოების, კოლეგებისა და მოწაფეების ალალი ცრემლი.

როცა ძართველი სამეცნიერო საზოგადოება ბატონი ზურაბის დაბადებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს, ერთხელ კიდევ მიაგებს სახელოვან მეცნიერს პატივს, რაც დასტურია იმისა, რომ ზურაბ ანჩაბაძე ძართველ მეცნიერთა გულებში მარადჟამს იცოცხლებს.

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

ბევრად მეტი, ვიდრე სოლიდარობა

გურამ ოდიშარია

მიწას დააკვდნენ ავიაგამანადგურებლები და ბომბდამშენები, წყალქვეშა ნავებმა ამოყვინთეს ოკეანეები და ზღვები? უფსკრულებიდან, ავიამზიდებიც და კრეისერებიც გაისუსნენ, ატივტივდნენ პლასტმასის სათამაშო ნავებივით. მრისხანე რაკეტების გვირაბებში დამცინავად ჩასრიალდა ავად მოთამაშე ვირუსი, კოსმოსურ ხომალდებშიც გაჟონა მისმა ლაღმა შხამმა.

დიახ, სადღაც მაინც ისევ ხმაურობს იარაღი, მაგრამ უკვე დედამიწაც სათამაშო პლანეტას დაემსგავსა, ჭრელ ბურთს, რომელსაც თავის ნებაზე დააგორებს გვირგვინოსანი (მომიტევეთ, გავლენაა! მინიშნებისას უნებურად წავინოსტრადამუსე) №19.

უდიდესი და უმცირესი არმიების ჯარისკაცები – ყაზარმებში, გენერლები კი თავიანთ სახლებში ჩაიკეტნენ და გაოცებულები უსმენენ ჩიტების საიდანღაც ჩამოღვრილ გალობას... თურმე პლანეტაზე მარტო ადამიანები არ არსებულან.

უდიდესი ქვეყნების პრეზიდენტების, ლიდერების ჯიუტად მკაცრ სახეზე შიშის ფრინველის აჩრდილი დაფარფატებს.

ის კი გვეუბნება დედამიწელებს ცინიკურად:

– არ დაიღალეთ, საძვარლებო, ერთმანეთის ხოცვით? ახლა მე მადროვეთ, ჩაგენაცვლებით. მერამდენე საუკუნეა, მოღვაწეობთ ამ საძმეში.მეცოდებით, თძვენ ხომ დაიმსახურეთ დასვენება. დარჩით სახლში! დაიბანეთ ხელები ხშირად! დაიცავით სოციალური დისტანცია!..

დაცარიელდნენ მსოფლიოს დიდი თუ პატარა, რომანტიკული თუ მშვენიერი, თუ „ისე რა“ ქალაქები და სოფლები, გამათხოვრდნენ ისტორიული ძეგლების სალაროები, გახუნდნენ კომერციული პეიზაჟები... და გაქრა ადამიანი.

ადამიანი გაქრა ეიფელის კოშკთანაც, სან-ფრანცისკოშიც, სეულშიც, ავსტრალიაშიც, აფრიკაშიც...

და ყველაფერმა თავი მოიყარა მობილურ ტელეფონში...

სულ ეგღა ვყოფილვართ! ყველანი ყველაფრიანად ჩავიტვირთენით ხელისგულისტოლა ტელეფონში: პირამიდებით, ბალახით, სიმღერებით, ოჯახური ფოტოებით, ანბანით, კოსმოსური იარაღით, ღვინით, მწერებით, ძაღლებით, ოკეანეებითა და გუბეებით, ისტორიით, მედიკამენტებით, ზღაპრებით, სიტყვებით, თვითმფრინავებით, ყვავილებით, კოსმოდრომებითა და ნარკოტიკებით, მუსიკით, მწვერვალებით... ამდენს რა ჩამოთვლის.

მრავალენოვანმა სიჩუმემ დაისადგურა პლანეტაზე, ყველა ხმაზე დადუმდა ომი და დადუმდა მშვიდობაც. და მხოლოდ შორეული ჭრიალიღა მოისმის ჩაჟანგული ანჯამების. ნელ-ნელა იღება უცხო-უცხო კაბიბჭე და იწყება რაღაც სხვა, სულ სხვა, სულ. არც ომი, არც მშვიდობა, სხვა რაღაც.სულ სხვა... კარგად მიაყურადეთ.

დიახ, და, რა თქმა უნდა, ეგ ყველაფერი კარგად გასრულდება. „ნუ ღელავთ, ამაზე უარესიც გვინახავს, თუმცა ასეთი საოცარი მოვლენა – არასდროს.

ნუ გეშინიათ... რისი შიში? შიში მხოლოდ იმისღა უნდა გვძონდეს, ერთმანეთს გული არ ვატკინოთ და უფიძრებლად წამოსროლილი სიტყვებით.

ახლა უმთავრესია, იმაზე ვიფიქროთ, როგორ გავგრძელდებით შემდეგ.

გასაგებია, დედამიწა ვერ იქნება ისეთი, როგორიც 2020-მდე იყო. ჩვენ? როგორები ვიქნებით ჩვენ? უკეთესები თუ... ამ ურთიერთობადაწყვეტილ, სიძულვილზე და ველურ კონკურენციაზე, გაურკვეველ მომავალზე დამყარებულ პლანეტაზე? ვერ დავუჯერებ მას, ვინც მეტყვის, რომ ყველაფერი დალაგებულ-დაწკრიალებული გვქონდა, ან გვაქვს...

ვზივარ ფანჯარასთან, ვაწრიალებ მობილურში გაყურსულ სამყაროს. ღამეა. ციმციმებს თბილისი. ანათებს მთვარე. უკაცრიელ-უმანქანო ქუჩაში მარტოხელა, უცხო სიჩუმით გაოგნებული ძაღლი მოლასლასებს. კომენდანტის საათი მას არ ეხება... ძაღლმა ჯერ არ იცის, რომ რამდენიმე პატივცემული პოლიტიკოს-ჩინოვნიკი ქუჩის ძაღლებს განადგურებით ემუქრება – ესენი შეკრული არიან, ვინცხეებთან და ავრცელებენ ვირუსსო. ქალაქმა არ იცის, როგორი დილა გაუთენდება. მთვარემ არ იცის, როდის წაშლის ღრუბელი. მე კიდევ, საერთოდ არაფერი ვიცი, თუმცა, კი ვცდილობ, პანდემიასა და მომავალს შორის იდუმალი კავშირი ვიპოვო... მოკლედ, ჩვენ ახლა ერთი „კლასტერისანი“ ვართ: ქალაქი, ძაღლი, მთვარე და მე (ერთხელაც მომიტევეთ, გამექცა კლავიატურა, გავლენაა! ძველჩინური პოეზიის).

...რაო, ყოველივე როცა გასრულდება, ისევ დაიბინდებიან ამ თვეებში განათებული წყლები? ისევ დაიხურება სიკამკამეშერეული ცა?..

ისევ დაიძრებიან სახელმწიფოები ერთმანეთისაკენ მუქარით? ხანჯლებივით ალესილი იდეებით, ქედმაღლური იმედებით – „ეს ჩვენია ვართ მართლები და ძლიერები, ისინი – არა! ეს ჩვენი მიწებია, მათი კი არა! ეს ჩვენ გავიმარჯვებთ, ისინი განადგურდებიან!..“?..

ისევ დაიხარჯება უზარმაზარი რესურსები სამხედრო წვრთნებში და აღლუმებში? შეიარაღებაში? კაცთაკვლის და, საერთოდ, სიცოცხლის მოსპობის ხელოვნების გაუმჯობესებაში? და ყოველივე ამისთვის კვლავ გავაგრძელებთ დედამიწის შუაგულის დაცარიელებას წიაღისეულისგან შიმშილისაგან მომაკვდავი ბავშვების ხარჯზე?.. ისევ გავაფართოებთ ოზონის ხვრელსა და უბედურების ზონებს?..

ისევ გავაგრძელებთ იმ ნივთებისა და საგნების უაზროდ ყიდვას, რომლებიც არც გვჭირდება და არც არასოდეს დაგვჭირდება? ისევ დავიპატიმრებთ თავს ხარბი ვაჭრობის გალავანში, სულისჩამკვლელ კლაუსტოფობიაში? მომავალში რომელს ჩავთვლით განვითარებულ სახელმწიფოდ? რომელსაც ანომალურად ბევრი ფული და ძლიერი არმია ჰყავს, თუ სხვას – განათლებითა და სულიერებით გამორჩეულს, მოკრძალებულად მცხოვრებს, მაგრამ ბედნიერს, სამართლიანს?

სხვადასხვა, ჭეშმარიტი კონფენსია საერთო სულიერებას ეყრდნობა, უპირველესად – ღმერთისა და ადამიანის სიყვარულს.

ისევ გავამრავლებთ და ხელს შევუწყობთ სიტყვით მკვლელებს, მოძულეებს, არამზადებს, სიყალბეს, სიყალბეს, ყველა სფეროში ჩაბუდებულ მარადიულსა და პრიმიტიულ კონფორმისტებს?..

ისევ მოვემსახურებით დროს – ნაზავს სიძულვილისა და ბოღმის, დედამიწის გამგებთა და წამკითხველთა, დედამიწის ერთგულთა და მხსნელთა ხარჯზე?..



შევძლებთ, დავიბრუნოთ ის ფასეულობები, რომლის გამოც ღირს სიცოცხლის შენარჩუნებაც კი? შევძლებთ გავხადოთ დედამიწა და ადამიანთა ურთიერთობები მიახლოებით მაინც ისეთი, რომლის არსებობაზე ვოცნებობდით? რომელიც უფრო შეგვაყვარებდა დაბადებასაც და ერთმანეთსაც?.. დაგვიბრუნდება ადამიანთა ნათელი სახეები წმინდა წყლებთან და წმინდა ჰაერთან ერთად?..

შევძლებთ, ავაგოთ საკაცობრიო სივრცე – მშვიდი, შემეცნებითი, ერთმანეთთან სასაუბრო, სადაც მოვისმენთ თუნდაც რადიკალურად დაპირისპირებულ, თითქმის მიუღებელ აზრებსაც, მაგრამ მივაღწევთ ისეთ ერთობლივ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აწყობს ნებისმიერ ერს – მცირეს თუ მრავალრიცხოვანს, ადამიანებს, მათ გაერთიანებებს, მათ თავისუფლებას, მათ განუმეორებელ, ერთადერთ და ლამის ეფემერულ სიცოცხლეს? შევძლებთ კი ასეთ გარდასახვას, ასეთ გარდაქმნას?..

ის, ვინც პატივს არ სცემს, არ იცავს სხვის თავისუფლებას, არ ესმის სხვისი ხმა, ტკივილი, საწუხარი, თავად არასოდეს იქნება თავისუფალი, არც ბედნიერი და თავისი ყველაზე დიდი გასაჭირის დროს სხვათა მზერაში ნუ ეძებს თანაგრძნობას.

ჩვენი პლანეტა ისეთია, როგორებიც ვართ დღეს ჩვენ ყველანი ერთად, უკლებლივ. ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ხვალინდელი პლანეტა კი იქნება ისეთი, როგორებიც იქნებიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

მწამს, ისინი სრულიად ახალი აზროვნებისა და ლოგიკის თაობები იქნებიან. უპირველესად, სინდისთან დამეგობრებულები. და თუ მათ ამაში ხელს ვერ შევუწყობთ, ნუ შევუშლით მაინც.

ქართველები როგორები ვიქნებით?.. მე როგორი ვიქნები ჩემ სამშობლოსთან ერთად? როგორი შეცდომებით, როგორი დანაშაულობებით მოვედი დღემდე? როგორ გამოვასწორო ისინი, რა მოვიმოქმედო? მარტო სინანული, სინდისის ქენჯნა საკმარისი როდია...

ისევ შიდადაპირისპირებებით დავიქსაქსებით? ისევ ერთმანეთის სიძულვილსა და გაურკვევლობების ვერგარკვევაში დავხარჯავთ ჩვენს ეროვნულ ენერგიას? ისევ ადვილად დავმარცხდებით საკუთარ თავთან? ისევ ერთმანეთის პროკურორებად და მხოლოდ საკუთარი თავის ადვოკატებად დავრჩებით? თუ როგორმე მოვახერხებთ და სიბრძნესაც დავიმგზავრებთ? შევძლებთ, რომ ჩვენი კულტურა, ღირებულებები კავკასიურ ცივილიზაციასთან ერთად შევმატოთ სამყაროს.

ჩვენ ყველას უკეთესები ვჭირდებით, ვიდრე ვართ. ყველას, უპირველესად კი ერთმანეთს, საკუთარ თავს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, შესაძლოა, ჩვენმა მომავალმა თაობებმა არც გვახსენონ.

ნებისმიერი საზოგადოება პასუხს აგებს ღმერთისა და სხვა ხალხების წინაშე დედამიწის იმ ნაწილზე, რომელიც განგებამ მისთვის განსაზღვრა. ასევეა ნებისმიერი ადამიანის ვალდებულება სხვა ადამიანების წინაშეც. და ასევე – ნებისმიერი ადამიანისა და ხალხის წინაშე პასუხს უნდა აგებდეს სრულიად კაცობრიობაც. მაგრამ როგორ მივაღწევთ, როგორ მოვახერხებთ თანაპლანეტელები ამას?

ხანდახან ასე მგონია, როცა ჩვენს პლანეტაზე სადღაც ომი მიმდინარეობს, დანარჩენი კაცობრიობა ამ ამბავს მშვიდად უყურებს, როგორც თეატრში მსხდომი ადამიანების ჯგუფი მრავალჯერ ნანახ, უღიმღამო სპექტაკლს და ხანდახან ტაშითაც აჯილდოებს ხან ერთ, ხან მეორე უნიჭო მსახიობს.

არ არსებობს დიდი და მცირე სიყვარული. არც – სიძულვილი. თუ ერთი ადამიანი გიყვარს, გიყვარს კაცობრიობაც. თუ ერთი ადამიანი მაინც გძულს, ეს იმას ნიშნავს, დაგამარცხა იმ სიძულვილმა და მაშინ, ყველა გძულს.

მხოლოდ მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით არ განისაზღვრება ერის მნიშვნელობა. მთავარია, მას გააჩნდეს უმაღლესი, საკაცობრიო ფასეულობები, მათი პატივისცემის, დაცვის, გაფრთხილების, მეტიც – საყოველთაო სიყვარულის უნარი.

მალე დავრწმუნდებით, რომ ყველანი გადაჯაჭვული, ერთმანეთზე დამოკიდებულები ვართ: ადამიანები ჩვენი სახელმწიფოებით, ცხოველები, მცენარეები, მიკრობები, ვარსკვლავები... ოღონდ, რაც შეიძლება, მალე უნდა დავრწმუნდეთ ამაში და არა დიდი დაგვიანებით. ყველამ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ მანამადე, სანამ ამის უმწვავესი აუცილებლობა დადგება.

არც ბუნებრივ კატასტროფებს, არც სხვა მიზეზებს არ დაუხოცავს იმდენი ადამიანი, რამდენიც თავად ადამიანებმა დავხოცეთ ომებში (ასი ათასობით, მილიონობით)... ომებში – დღესაც ჩვენი ურთიერთობების გარკვევის უპირველეს და უმთავრეს საშუალებაში.

ომი უმარტივესი მოვლენაა, მშვიდობა – რთული. ომი რამდენიმე საათში, რამდენიმე დღეში ანგრევს ქალაქებსა და სოფლებს, ადამიანთა კავშირებს, რომლებსაც ათეულობით წლის, საუკუნეების განმავლობაში აგებდა მშვიდობა.

ცრუობენ ომზე გადაღებული დიდბიუჯეტიანი ფილმები, ომს კი არა, მიზეზთა გამო, სწორედ მშვიდობას სჭირდება მეტი ვაჟკაცობა და გაბედულება.

ომი და ბოროტება მონსტრის ნახტომებით გადაადგილდებიან პლანეტაზე, მშვიდობა და სიკეთე კი ბავშვის ნაბიჯებით დაიარებიან. ამიტომაც ადამიანი ომსა და ბოროტებას უმალ ამჩნევს და ხედავს, მშვიდობასა და სიკეთეს კი ვერც ხედავს და ვერც აფასებს. ამას ხომ გულით ხედვის უნარი ჭირდება და არა დამაბრმავებელი შიში.

პლანეტას მშვიდად როგორ უნდა ეძინოს, როდესაც ჩვენს, ზრდასრულებისა და „ჭკვიანების“, ომებში მოხვედრილი გაუბედურებული და აქვითინებული, სა-

სოწარკვეთილი ბავშვები ტელერეპორტიორებს ეუბნებიან – „რაც მე აქ ვნახე, სუყველაფერს ღმერთს მოვუყვები!“

დადგა დრო, მშვიდობამ ფეხს აუჩქაროს!

და სანამ არ გაადამიანურდებიან პლანეტაზე ჩვენი დაწერილი თუ დაუწერელი წესები, კანონები, კოდექსები... სანამ არ გაადამიანურდება თავად ადამიანი, სულ მარადიული უბედურებების ზონაში ვიცხოვრებთ. და სულ, კიდევ და კვლავ, სხვა უამრავი წესის თუ კანონის შექმნას შევეცდებით, რომლებიც ისევე ვერა და ვერ დაიცავენ ადამიანს ადამიანისაგან, კაცობრიობას კაცობრიობისგან, როგორც დღემდე არსებულმა ათასობით წესმა და კანონმა ვერ მოახერხა ეს.

და, გარდა ამისა, ხომ შეიძლება, გამოჩნდეს ხვალ რაღაც სხვა, ახალი, ბევრად აგრესიული, უსწრაფესი მუტანტი-ვირუსი, აპოკალიფსური, სულ სხვა რიცხვით მონათლული, ვთქვათ, 366-ით, რომელიც უფრო ცინიკური ღიმილით დაგვმოძღვრავს:

– არ დაიღალეთ, საყვარლებო, ერთმანეთის ხოცვით ტყვიებითა და სიტყვებით? ახლა მე მადროვეთ, ჩაგენაცვლებით, თქვენ ხომ დაიმსახურეთ დასვენება? დარჩით სახლში! ხშირად დაიბანეთ ხელები! დაიცავით სოციალური დისტანცია!..

ან სულაც, ბოროტი უცხოპლანეტელები რომ დაგვესხან?.. ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს გადაგვხვდა, ეს განა რა გასაკვირი იქნება (თუმცა, მომიტევეთ ერთხელაც, აქაც გავლენა გამეპარა! გალაქტიკათა შორის ომების ფილმების).

ჩვენ კი მანამდე შევძლებთ, კვლავ ვიპოვოთ, კვლავ აღმოვაჩინოთ ერთ დროს დაკარგული ჯადოსნური სიტყვები? მკურნალი სიტყვები, გულწრფელი, მაცოცხლებელი? ოსტატურად ჩამოქნილი სიტყვების ფორმულა, გამთბარი ერთმანეთის თანაგრძნობით, სიყვარულით? ფორმულა, რომელიც აწყობს ყველას? ფორმულა, რომელიც კი არსებობს სადღაც, დროსა და სივრცეში, მაგრამ მისი ძებნა ჯერჯერობით არც დაგვიწყია... შევძლებთ კი ასეთ გარდასახვას, ასეთ გარდაქმნას?...

სახელმწიფოებს შორის ქრონიკული ომებით დანაღმული სივრცეებია გაწოლილი.

ამ სივრცეებში, თავდაპირველად, მხოლოდ იმ ახალმა ადამიანებმა უნდა დაიწყონ სვლა, რომლებმაც კარგად იციან დანაღმულ ველზე სიარული. ადამიანმა – იმედებმა, ადამიანმა – მხსნელებმა, პლანეტარულმა ადამიანებმა, რომლებიც მხოლოდ გვიან, ან ძალიან გვიან, ჯოჯოხეთური ვითარებისას, გვახსენდებიან. რომლებმაც იციან საუბარიც და იმ საჭირო სიტყვების მისტერიული საიდუმლოც იციან, რომლებიც ხალხებს, ერებს შორის იმ სიტყვებით ხიდებს აგებენ. აშენებენ ხიდებს და არა – ანგრევენ! და, როგორც წესი, ყველა დროში, მათ საერთო ლოგიკას დამორჩილებული ადამიანები წირავდნენ (შემდეგ კი ძეგლებს უდგამდნენ, ქუჩებსა და მოედნებს მათ სახელებს არქმევდნენ).

ასეთი ხიდების მშენებელი ადამიანების უმრავლესობა ახალ თაობებშია.

იმ ახალგაზრდებში, რომლებსაც აქვთ სრულიად ახალი ხედვისა და სრულიად ახალი, დღეს წარმოუდგენელი გადაწყვეტილებების მიღების ნიჭი. იმ ხედვისა და იმ გადაწყვეტილებების, რომლებიც სრულიად ახალ ჰორიზონტებს აღმოგვაჩენინებენ. მჯერა და მწამს მათი, რომლებიც დღეს „ხვალ“ კი არა, „ზეგ“ ცხოვრობენ და იქიდან იმაზე ბევრად მეტს ხედავენ, ვიდრე ჩვენ ვხედავდით გუშინ და გუშინწინ.

ამ გზაზე, ამ სვლისას, ცალ-ცალკე ვერც ერთი ძვეშანა ვერ გაიმარჯვებს. ეს კაცობრიობამ საკუთარ თავზე, ანუ კაცობრიობამ კაცობრიობაზე უნდა გაიმარჯვოს, საკუთარ თავთან ამდენი მძიმე და დამღლელი დამარცხების შემდეგ. ფერფლიდან აღდგომის, ერთიანი, განახლებული სულიერების მძაფრი შეგრძნებით...

მხოლოდ ასე დაგვიბრუნდება ყველას საუკუნეების ლაბირინთებში ჩაკარგული საერთო ღირსება და ჩვენი მთავარი ფუნძცია – გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ადამიანი! და პლანეტა სრულიად, რომელიც მართლაც არ ეკუთვნის მარტო ადამიანს.

ჯერ კი, ცოტა ხნით, ასე უნდა ვიცხოვროთ – ვისხდეთ სახლებში, ხშირად დავიბანოთ ხელები და დავიცვათ სოციალური დისტანცია. აბა, როგორ? – ასეთ დროს თუ თავს იცავ, პლანეტასაც იცავ! ყველას! და ამ მოულოდნელი განდეგილობისას ვიფიქროთ, ვიფიქროთ ხვალინდელ დედამიწაზე.

ჩვენი ხსნა სწორედ დღევანდელის მსგავს ერთიანობაშია, მაგრამ უფრო იმ ერთიანობაში, რომელიც ნებისმიერ ერთიანობაზე ბევრად მეტი იქნება. იმ სოლიდარობაშია, რომელიც ნებისმიერ სოლიდარობაზე ბევრად მეტი იქნება. იმ ურთიერთპატივისცემაშია, რომელიც მეტი იქნება ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის გაფრთხილების დღევანდელ გაგებაზე.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა დავიცვათ ფიზიკური დისტანცია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიცვათ დისტანცია გულებს შორის! დღეს მით უმეტეს!

რადგანაც სიყვარული და სინდისი და გონის გამოცდილება ისტორიულად ნაცადი მასალაა ახალი სიტყვებით პლანეტარული ხიდების ასაგებად, ახალი სამყაროს ჰარმონიული მშენებლობისთვის.

თუკი ოდესმე კარგი რამ გაკეთებულა დედამიწაზე, მხოლოდ და სწორედ მათი შემწეობითა და მათი თანაჰარმონიით გაკეთებულა.

2020 წლის აპრილი

იგნორი და დაცინვა – ვაქცინა კორონაცების წინააღმდეგ



(პირველი გვერდიდან) აბა როგორ შეიძლება სერიოზულად აღიქვა ძებნილი კრიმინალის მიერ გაკეთებული ეს წინადადება – **„გამომიყენეთ უცხოური მხარდაჭერის მისაღებად. მე მზად ვარ, მოვიარო ყველა უცხოური დედაქალაქი. ძალიან ბევრს ვიცნობ საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებში, ბოლოს და ბოლოს დონალდ ტრამპი მთელ მსოფლიოში მაქებდა მრავალი წლის განმავლობაში და თავის პირად მეგობრად მაცხადებდა; ბოლოს და ბოლოს ყველას ვიცნობ, ვინც დღევანდელი ევროპის ლიდერები არიან. მე გაძლევთ გარანტიას, რომ თუ 5,5 მილიარდს არ ჩამოვიტან, იმდენ დახმარებას მაინც ჩამოვიტან, რომ საქართველოს ეკონომიკა გადარჩეს“.**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, მეორე მსოფლიო ომის დროს ლაკი ლუჩანო (მგონი ახსნა არ სჭირდება ვინ იყო) ციხიდან გაათავისუფლა, რათა მას თავისი კავშირებით სიცილიაში ამერიკული ჯარების გადასხმისთვის თანადგომა გაეწია. ამ ჩვენს მრავალდევნილ მირას პრეზიდენტობა არ გამოუვიდა, ქვეყნის აღმშენებლობა არ გამოუვიდა (არც უცდია, მაგრამ მაინც), პოლიტიკოსობა არ გამოუვიდა, კაცობა და ადამიანობა ხომ არ გამოუვიდა და არ გამოუვიდა. მოკლედ არაფერი რომ არ გამოუვიდა, იფიქრა, იქნებ მაფიოზობა გამომივიდესო, მორატორიუმი გამომიცხადეთ, ევროპაში დესპანად გამიშვით და ფინანსების ამბებს „დაგილაგებთო“.

არა რა, მაქსიმუმ გვერდზე პალატაში გადაიყვანონ, აი იმისი პალატის გვერდზე, სწრაფი ტესტები რომ აქვს ამოჩემებული.

ან როგორ შეიძლება სერიოზულად აღიქვა ე.წ. სახალხო დამცველის ეს ფეისბუქ-პოსტი: **„სამედიცინო ენაზე, იესო ქრისტეს სიკვდილის უშუალო მიზეზად ასფიქსია სახელდება. დღეს ჩვენ რეანიმაციებში ადამიანები იგუდებიან... არაფერი შეცვლილა, ფარისევლებმა ისევ გაიმეტეს დაუცველი ადამიანები ჯვარცმისთვის, ხოლო ხელისუფალმა ხელები დაიბანა“,** – წერს ნინო ლომჯარია.

ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა, ეს სუბიექტი ათეისტია, იეღოველი, თუ იაკუტიელ შამანს ეთაყვანება, ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა, რომელ პოლიტიკურ ძალას უჭერს მხარს, ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა, რამდენს გვახდევინებს თავისი ოფისის შენახვაში და რეალურად აკეთებს თუ არა თავის საქმეს.

უბედურება ისაა, რომ ასეთი გამოთაყვანებული არსება სახალხო დამცველია, ქვეყნის მართვის ზედა ეშელონებშია და ხშირ შემთხვევაში წონადი სიტყვის თქმის უფლება აქვს.

დიახ, სწორედაც რომ გამოთაყვანებული, რადგანაც ვერ საზღვრავს, რა დროს რა უნდა თქვას, ანუ არანაირი ლავირების, პოლიტიკური ალღოს და მოსახლეობის, ხალხის უმრავლესობასთან დიპლომატიური ურთიერთობის უნარი არ გააჩნია.

პანდემია დამთავრდება, ვირუსს მოვერევით, მაგრამ აუცილებელია რომ ასეთი უინტელექტო და ვიწრო აზროვნების არსებები, ვერასდროს მოხვდნენ ხელისუფლებაში. გამოთაყვანებული და მწირი აზროვნების დებილები, საქართველოს არ სჭირდება.

როგორ შეიძლება სერიოზულად აღიქვა ის ხალხი, რომლებიც აჟიტირდებიან უცხოეთში „მოღვაწე“ ვინმე თუნდაც ნორმალური სპეციალისტის იმ „რეკომენდაციებზე“, რომლის მთავარი ხაზი არა საქმე, არამედ პოლიტიკური, ან სხვა ტიპის ანგაჟირებაა (ბატონი თენგიზ ცერცვაძის სამკურნალო მეთოდოლოგიის მიმართ, ვინმე ზურაბ გურულის მიერ გამოთქმული პრეტენზიები).

არასდროს არ მივუყვან ავტომობილს იმ „მოტორისტს“, რომელიც მეტყვის, რომ ეს დეტალი არ ვარგა იმიტომ, რომ გერმანულია და გერმანელები არ მევასებაო.

არასდროს მოვუსმენ ბოლომდე იმ ხელოვნებათმცოდნეს, რომელიც იტყვის, რომ ტოლსტოი არ ვარგა, რადგან რუსიაო.

არასდროს მივალ იმ ექიმთან, რომელიც არა ფულისთვის, არამედ პოლიტიკური ანტიპატიის გამო გაკრიტიკებს მკურნალობის იმ მეთოდს, რომლის წარმატებულ შედეგსაც ვხედავთ და რომელსაც მთელი მსოფლიო აღიარებს.

ჩემი აზრით ასეთი ექიმი არაფრით განსხვავდება ყველასთვის ნაცნობი „ანჟელა კოორდინატორისგან“ და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, წაშალა თუ არა მან ის იდიოტური პოსტი.

შინაურულად გეტყვით, რომ მე პირადად ჩემი მარნელი მეზობლის ოდნავ დაჭმუჭნილი „შამპანსკის ვაშლი“ მირჩევნია, საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ „გაუთოებულ“ და ფაქტობრივად პლასტმასის იმ ვაშლებს, რომლებიც სუპერმარკეტებში იყიდება და რომლებსაც ჩვენი დამწყები „პრადვინუტები“, ანუ მეორე და მესამე რანგის „მენეჯერები“ Break-ზე ყიდულობენ.

ტელემედიამ ხომ საერთოდ „გარეკა“.

– დაუჭერს თუ არა პარლამენტი მხარს საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას, - ისეთი პათოსით მამცნეს ტელევიზორიდან, რომ მაშინვე ვიგრძენი ჩერჩილისა და ბრუკის განცდები, როცა სტალინისგან ბანდეროლით ის ფოტო მიიღეს, სადაც მომავალი გენერალისიმუსი ჩიბუხს ცეცხლს უკიდებს.

– შევა თუ არა სტალინი ევროპაში? – ფიქრობენ ისინი. – დაუჭერს თუ არა პარლამენტი მხარს საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას? – ვფიქრობდით მე და ჩემი ერთი შვილი (მეორეს, მის ტყუპისცალს ეძინა).

თქვენ გაიხარეთ ჩემო ტელეკოლეგებო, ამ გაგანია კორონაში ამ საოცარი ინტრიგით რომ დილიდან გამამხიარულეთ.

და ბოლო, რომელმაც მართლა გამაბრაზა იყო ის რია-რია, რომელიც კორონაცებმა გასართობ ინტერნეტ-პლატფორმა Tik Tok-ზე გავრცელებულ იმ მცირე ვიდეოს მოაყოლეს, რომელშიც ბიძინა ივანიშვილსა და ბერას მამაშვილური ურთიერთობა იყო ნაჩვენები.

დიახ, ვნახე ის ვიდეო, სადაც ბიძინა ივანიშვილი ბერასთან ერთად თამაშობს.

თამაშობს და მერე რა?

ვინ არ თამაშობს თავის შვილთან?

მართლა არანაირ ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ იქ ნადირაშვილი შეშფოთდა, აქ ბოკერია, იქ კიდე ნიკუტა გადაირია.

ხომ ვიცი ამ მარაზმატიკების ამბავი, მაგრამ მართლა გავბრაზდი.

ვინ არიან, რა ჯიშის, სად დაიბადნენ და გაიზარდნენ ეს მაქსიმ გორკის პერსონაჟები, მამა რომ არ იციან და შვილი. სიყვარული, მეგობარი და ადამიანური ურთიერთობა.

რამ გაგამწარათ თქვე... ფუჰ, სიტყვებიც ვერ ვიპოვე და მე რომ ეგ გამიჭირდება.

წადით თქვენი უჯიშო, უოჯახო, უსიყვარულო, ბოღმიანი კლასტერიც რა ვთქვი.

და ამათ უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა?

შვილებს წაგვართმევენ და „ვასმოი პოლკელებივით“ გაზრდიან ეს დედმამააფეთქებულები ესენი!!!

ამას კი ნამდვილად არ დავუშვებთ და შემოდგომაზე ისეთ ანტისეპტიკს დავასხამთ, თავები ვერასოდეს ვერ წამოყონ.



გია გაბრიჭიძე

ამერიკულ კომპანიებთან ერთად ჩინეთის ევროპული ბიზნესებიც ტოვებენ!

ევროპა უერთდება ამერიკულ კომპანიებს ჩინეთის დატოვების ტენდენციაში. სავაჭრო ომი აბსოლუტურად ცვლის გლობალური მიწოდების ქსელების რუკას და ამ ყველაფერში ზარალი ჩინეთს ადგება.

ხარისხის კონტროლისა და მიწოდების ქსელის აუდიტორის QIMA-ს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ამერიკული კომპანიების 80% ტოვებს ჩინეთს, ხოლო ევროპული კომპანიების 67%.

მოთხოვნა ჩინეთში მომუშავე აუდიტორებზე 13%-ით დაეცა, ვინაიდან მწარმოების დიდი ნაწილი ან კარგავს უცხოელ კლიენტებს, ან თავიანთი წარმოების ნაწილი ჩინეთიდან გააქვს, რათა თავიდან აირიდოს ტარიფები.

სავაჭრო ომის გამო ევროპული კომპანიები ნაკლებად დაზარალებულები არიან, ვინაიდან მათ ქვეყნებს ჩინური პროდუქციის იმპორტზე ტარიფები არ გაუზრდიათ. თუმცა, QIMA-ში ფიქრობენ, რომ ევროპულ კომპანიებს თავიანთი მიზეზები აქვთ, მათ სურთ, შეამცირონ ჩინურ წარმოებაზე დამოკიდებულება. ისინი დივერსიფიცირებას ახდენენ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ან თავიანთ ქვეყნებთან უფრო ახლოს მდებარე ბაზრებზე.

გლობალური მიწოდების ქსელების მიმდინარე დივერსიფიცირების შედეგად, ახალი შესაძლებლობები უჩნდება კორპორატიულ ინვესტორებს, ასევე ახალი ქვეყნების ბაზრებს, მაგალითად ვიეტნამს.

QIMA-ს გამოკითხვებით ირკვევა, რომ ამერიკული რესპონდენტების 75%-ზე მეტი ამბობს, რომ ტარიფებმა დაზარალა, ვინაიდან გაეზარდათ დანახარჯები, რაც მათ ბიზნესზე გავლენას ახდენს. ამიტომაც ისინი ცდილობენ, სწრაფად გადადგან ის ნაბიჯები, რასაც ერთ დროს ისინი გეგმავდნენ.

ევროპაც იგივე ნავში ზის.

ჩინეთთან სავაჭრო ომის გამო ევროპული ბიზნესები ნაკლებად დაზარალებულები არიან. მხოლოდ 14% ამბობს, რომ ისინი ჩინეთს ტოვებენ ტარიფების გამო. ტარიფების საფრთხესთან ერთად ევროპული ბიზნესების ჩინეთიდან გასვლის მიზეზი მათი კონკურენტების გასვლაა სხვა ქვეყნებში.

ცალკეულ ევროპულ კომპანიებს ბიზნესები გადააქვს თავისთან უფრო ახლოს. მაგალითად თურქეთსა და რამდენიმე აფრიკულ ქვეყანაში, ინსპექციისა და აუდიტზე მოთხოვნა 40%-ით გაიზარდა. QIMA-ს მონაცემებით, ევროპული ტექსტილის და ტანსაცმლის მწარმოებლებმა გაზარდეს მომარაგება რუმინეთიდან და პორტუგალიიდანაც.

თუმცა, ჩინეთის დატოვება მარტივი არაა.

იმის გარდა, რომ კომპანიებს ჩინეთში უკვე 20 წელზე მეტის ოპერირების გამოცდილება აქვთ და კარგად იცნობენ ჩანელ პარტნიორებს, ჩინური კომპანიები ასევე მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ წარმოების ხარისხს. ზოგიერთ ქვეყანას არა აქვს ტექნოლოგია ან შესაბამისი უნარის მქონე მუშახელი, რაც ჩინეთს ჩაანაცვლებს.

QIMA-ს ანალიტიკოსების თქმით, სამხრეთ აზიაში 2019 წლიდან პროდუქციის ხარისხი გაუარესდა, ინდოეთსა და პაკისტანში 33-37% ვერ გადის შესაბამის ინსპექციას. კამბოჯაში კი გასული წლის მეორე კვარტალში შემოწმებული პროდუქციის 40% მიუღებელი იყო.

FORBES.COM

აკრძალვა „მწვანე ბარათებს“!

ამერიკის შეერთებული შტატები 60 დღით იმიგრაციას აჩერებს. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში გამართულ ყოველდღიურ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ტრამპმა აღნიშნა, ქვეყანაში ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით იქნება მიღებული გადაწყვეტილება იმიგრაციის შეჩერების განკარგულების გახანგრძლივების ან ცვლილების შესახებ.

მისი თქმით, აკრძალვა აშშ-ში მუდმივი ბინადრობის – „მწვანე ბარათის“ მოპოვების მსურველებზე გავრცელდება, თუმცა დაშვებული იქნება გარკვეული გამონაკლისები.

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, იმიგრაციის შეჩერების განკარგულება სავარაუდოდ 22 აპრილს გამოქვეყნდება. ტრამპის განმარტებით, იმიგრაციის შეჩერებით მისი ადმინისტრაცია დასაქმების რიგში პირველ ადგილზე უმუშევარ ამერიკელებს დაყენებს. აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, მთავრობა დაიცავს ამერიკელ მუშებს.

ყოველწლიურად დაახლოებით ერთი მილიონი „მწვანე ბარათი“ თამაშდება, რაც იმიგრანტს აშშ-ში ლეგალურად ცხოვრებისა და მოქალაქეობის მოპოვების შესაძლებლობას ანიჭებს.

ფაუჩიმ უფრო იცის თუ... ტრამპმა?

მთავარი ინფექციონისტი ენტონი ფაუჩი ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა აღდგენას მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს, რაც ქვეყანაში ვირუსის კონტროლი შესაძლებელი იქნება. განცხადება ინფექციონისტმა

მას შემდეგ გააკეთა, რაც ამერიკის შეერთებული შტატები აქციებმა მოიცვა. ათამდე შტატში ასობით აქციის მონაწილემ ენტონი ფაუჩის გადადგომა და ეკონომიკის გახსნა მოითხოვა.

აშშ-ის მთავარი ინფექციონისტი მოუწოდებს აქციის მონაწილეებს, დაემორჩილონ სოციალური დისტანცირების წესებს და არ დაარღვიონ კანონი, რათა პანდემიასთან ბრძოლა იყოს ეფექტური. ამერიკის ეკონომიკის გახსნას 1 მაისიდან გეგმავს პრეზიდენტი ტრამპი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა 3-პუნქტიანი გეგმა მოქალაქეებს უკვე გააცნო. რომელი შტატი როდის დაიწყებს 3-პუნქტიანი გეგმის შესრულებას, ამას გუბერნატორები გადაწყვეტენ. ენტონი ფაუჩი კი ფიქრობს, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს მიღებული, მეტიც ABC-სთან საუბრის დროს ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი ამბობს, რომ თუ აქციები გაგრძელდება და წესები დაირღვევა, ეკონომიკის აღდგენის პროცესი გადაიწევს და დროული ეფექტი ვერ ექნება.

„თუ ვირუსის კონტროლს ვერ შევძლებთ, ნამდვილი ეკონომიკური მაჩვენებლების გამოსწორება ვერ მოხერხდება“, – ამბობს ფაუჩი. მეტიც ამერიკის მთავარი ინფექციონისტი ფიქრობს, რომ პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილებამ ქვეყნის ეკონომიკის გახსნის შესახებ შესაძლოა უკუჩვენება გამოიღოს.

ამზადებენ მასობრივ სამარხს

ბრაზილიის ჩრდილოეთ ნაწილში, ამაზონასის შტატის ქალაქ მანაუსში მასობრივ სამარხს ამზადებენ. კორონავირუსის პანდემიის გამო მანაუსში ყოველდღიურად 100-ზე მეტ გარდაცვლილს კრძალავენ. პანდემიამდე ეს რიცხვი საშუალოდ დღეში 30-ს წარმოადგენდა.

ქალაქის მერი არტურ ვირჯილიო ნეტო ამბობს, რომ ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემა კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობას ვერ უმკლავდება. **„იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში ვცხოვრობთ, სავარაუდოდ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე სერიოზულ ვითარებაში, ჩვენ არ მიგვიღია დახმარება ფედერალური მთავრობისგან“,** – აცხადებს ქალაქის მერი. ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მონაცემებით, ბრაზილიაში კორონავირუსის 43 ათასზე მეტი შემთხვევა, გამოვლენილი, გარდაცვლილია 2 741 ადამიანი.

მისურის შტატი – ჩინეთის წინააღმდეგ

აშშ-ის მისურის შტატმა ჩინეთის მთავრობასა და ქვეყნის მმართველ კომუნისტურ პარტიას კორონავირუსის საფრთხის დამალვის გამო სასამართლოში უჩივლა. ამის შესახებ ნათქვამია მისურის გენერალური პროკურორის ერიკ შმიტის განცხადებაში.

პროკურორის განცხადებით, ჩინეთის მთავრობა „კოვიდ-19“-ის საფრთხის შესახებ მსოფლიოს ატყუებდა, ინფორმაციის გამავრცელებლებს დევნიდა და დაავადების გავრცელების შესაჩერებლად სათანადო ზომებს არ მიმართა. **„მათ საკუთარ ქმედებებზე პასუხი უნდა აგონ“,** – განაცხადა მისურის შტატის გენერალურმა პროკურორმა.

მისი თქმით, ჩინეთის ხელისუფლების ქმედებებს მისურის შტატში ადამიანების გარდაცვალება, ასევე ეკონომიკური ზარალი მოჰყვა. მისურიში კორონავირუსით 220-ზე მეტი ადამიანია გარდაცვლილი.

როგორც „ბიბისი“ აღნიშნავს, მისურის ხელისუფლება სარჩელს „ისტორიულს“ უწოდებს, თუმცა მას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პროცედურული დაბრკოლებები ელოდება, რადგან აშშ-ის კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მთავრობებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის დავებში იმუნიტეტი გააჩნიათ.

ეს გერმანიის „რიგითი შაყირია“ თუ ჰიტლერული მუქარა?!

გერმანია, ჩინეთს კოვიდ19-ის გამო მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 130 მილიარდის ქვითარს უგზავნის. ინფორმაციას ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა Express.co.uk ავრცელებს.

გერმანულ ინვოისში ის ხარჯებია გაწერილი, რომელიც ქვეყანამ კოვიდ-19-ის გამო მიყენებული ზიანის შედეგად გაიღო. საფრანგეთის, ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, გერმანიამაც ღიად დაადანაშაულა ჩინეთი კრიზისის შესახებ ინფორმაციის დამალვაში. ოფიციალური ბერლინის განცხადებით, ჩინეთს ამ დრომდე არ დაუსახელებია აფეთქების პირველი წყაროს წარმომავლობა.

„თუკი აღმოჩნდება, რომ ჩინეთის ხელისუფლება განზრახ მალავდა ფაქტებს, მაშინ ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს შედეგები“, – განაცხადა ტრამპმა.

ამასთან, მან გამორიცხა ის ვარიანტი, რომ პეკინმა თითქოს სპეციალურად არ დაუშვა ეს შეცდომა. **„შეცდომები ხდება“,** – აცხადებს იგი. მისი თქმით, შეცდომები არ არის ისეთი საშიში, როგორც სპეციალურად დაფარული მონაცემები.

აშშ-ის ადმინისტრაციაში კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინატორი დებორა ბირკი აცხადებს, რომ აშშ-ის ხელისუფლება, ჩინეთის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს ქვეყანაში კორონავირუსის შედეგად სიკვდილიანობისა და დაავადების გავრცელების შესახებ არარეალურად მიიჩნევს.

„შეგიძლიათ შეხედოთ, დააკვირდეთ და დაინახოთ, თუ რამდენად არარეალურია ისინი“, – აცხადებს ბირკი.

აქამდე ტრამპმა უკვე გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩინეთის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემები არარეალურია. მისი მოსაზრებით, ჩინეთში რეალურად ახალი კორონავირუსის შედეგად იმაზე მეტი ადამიანი გარდაიცვლებოდა, ვიდრე აშშ-ში.

ამერიკის ლიდერის თქმით, კორნავირუსის წარმოქმნასთან დაკავშირებით აგრეთვე, ბევრი უცნაური რამ ისმის, რასაც ამ ეტაპზე აშშ იძიებს.

IPRESS.GE



რჩეულთა შორის

ლეგენდარული ქართველი კომენტატორი კოტე მახარაძე უეფას ნომინანტთა შორის დაასახელეს. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სხვადასხვა დროს დიქტორთა მიერ ნათქვამი საუკეთესო ფრაზები და მათ შორის მახარაძის ეს წინადადებაც მოხვდა: „ზეიმობს საქართველოს დედაქალაქი, ზეიმობს მთელი ჩვენი ქვეყანა – თბილისელებმა ეს თასი მოიპოვეს“.

ეს სიტყვები კოტე მახარაძემ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩის დასრულების შემდეგ თქვა, როდესაც 1981 წელს თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასის ფინალში იენის „კარლ ცაისი“ 2:1 დაამარცხა.

უეფას ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში ისიც წერია, რომ ამ ემოციების გამო მახარაძე საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა გამოკითხა, რომ გაეგოთ, რომელ ქვეყანას გულისხმობდა ის, რადგან ბევრმა ამ ფრაზაში საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა დაინახა.

გიორგი შოთაძე

◎ ხალიჩის რაინდი

თემურ აფხაზავა 65 წლისაა

თეიმურაზ აფხაზავა – სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით, ღირსების ორდენით, ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის ორდენით, 2000 წელს დაასახელეს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად ქუთაისიდან, აღიარებულია 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფალავნად.

1983 წელს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი გახდა. არის სპორტის რაინდი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე. სპორტული შედეგები: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის,საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, ევროპის ორგზის ჩემპიონი 1983-84 წლებში, ორგზის ევროპის პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი 1982-83 წლებში, მსოფლიო სუპერჩემპიონატის გამარჯვებული (1985), მსოფლიო თასის მფლობელი (1985), იაპონიის, აშშ-ის, ნორვეგიის, გერმანიის, საბერძნეთის, იტალიის, ავსტრიის და მრავალი სხვა დიდი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

თემურ აფხაზავა დაიბადა ჩემპიონად და ჩვენგან ზარ-ზეიმიანი იუბილე ეკუთვნის. მილოცვა ეკუთვნის დაუვიწყარ ბრძოლებში გამარჯვებებისთვის, ფართო და ერთგული სამეგობროს ყოლისთვის; პრინციპული, კეთილშობილი, თვდადებული, წესიერი, სამშობლოს მოყვარული, უშიშარი კაცის სახელისთვის. რაც მთავარია, ღვთის მადლიერება ეკუთვნის სხვა ყველაფრის გარდა იმ მრავალი და მრავალი ჭეშმარიტად საქებარი სიტყვისთვის, რომლითაც ნაცნობნი და უცნობნი იხსენიებენ!

მაგრამ დღეს აქ, პატარა ქვეყანაში, რომელსაც განსაცდელი არასდროს ჰკლებია, ჩვენი თემურის საიუბილეო თარიღი ამ თემით ვერ შემოიფარგლება. ჩვენ უნდა ვუსურვოთ თემურს ჩვენი ქვეყნის გადარჩენა იმ სენისგან, რომელიც უფალმა ჭეშმარიტად გამოსაცდელად მოგვივლინა. ქართველი ერი ამ განსაცდელს ღირსეულად უძლებს, მოყვასის თვალში, მტრის თვალში და, რაც მთავარია, საკუთარ თვალში.

დღეს ქართველი კაცი უფრო ამაყია, ვიდრე სამი თვის წინ იყო. ღმერთმა სიამაყე დამსახურებულად მოუტანა ქართველს, მათ შორის, რა თქმა უნდა, პირველთაგან ღირსებით დამშვენებულ მამულიშვილ თემურაზ აფხაზავას.

ვერავინ წაშლის ჩვენს დღევანდელ სიხარულში თემურის სახელგანთქმული მწვრთნელების: ილია ბობოხიძის, ჯემალ კოსტავასა და ესტატე გოგლიჩიძის ღვაწლს.

ღმერთმა მისცეს თემურ აფხაზავას ყველა სიკეთე.

რომან რურუა,
ესტატე გოგლიჩიძე,
მიხეილ სალაძე,
პაატა კოლუაშვილი.

◎ ხუთი რგოლი

ტოკიოდან - ტოკიოსკენ

იაპონიის დედაქალაქმა ტოკიომ 56 წლის წინათ – 1964 წლის 10-24 ოქტომბერს ზაფხულის XVIII ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. სპორტის 19 სახეობაში მედლების 163 კომპლექტი გათამაშდა. საპრიზო ადგილებისთვის 93 ქვეყნის 5149 სპორტსმენი (683 ქალი) იბრძოდა. მოასპარეზეთა შორის საქართველოს 18 წარმომადგენელიც გახლდათ.

თამაშებში ჩემპიონობა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხმლით მოფარიკავეებმა. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ნუგზარ ასათიანმა. ქართველთაგან მე-2 ოქროს მედალი ფრენბურთელთა საკავშირო ნაკრების წევრმა ვაჟა კაჭარავამ დაიმსახურა. სპორტის ეს სახეობა, როგორც ძიუდო, იაპონელთა თხოვნით შეიტანეს თამაშების პროგრამაში. ჩვენმა ძიუდოისტებმა – ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიკვილაძემ ოლიმპიური დებიუტი მძიმე წონაში მოპოვებული ბრინჯაოს მედლებით აღნიშნეს.

ქართველმა სპორტსმენებმა ტოკიოში სულ 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს!

დღეს ტოკიოს 1964 ოლიმპიადის ერთ-ერთ გმირ ნუგზარ ასათიანზე გიამბობთ.

მუშკეტერი „რკინის“ ხელითა და ხასიათით

ნუგზარ ასათიანმა ქართულ სპორტს საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ მოუტანა სახელი და დიდება: გუნდურ ფარიკაობაში 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ოთხი წლით ადრე რომის ოლიმპიადაზეც მოსინჯა ძალები. ასევე, გუნდურში 1965 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ამ რანგის შეჯიბრებებში ორჯერ ვერცხლისა და ერთხელ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, სტუდენტთა მსოფლიოს თამაშების მეორე პრიზიორმა (1961) და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა პირად (1961) და გუნდურ ასპარეზობებში (1960-1964). საკავშირო თასს ოთხჯერ ფლობდა.

საფარიკაო კარიერა 1954 წელს კიშინიოვში ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე დაკავებული მეორე ადგილით დაიწყო. მომდევნო წელს სარატოვში 18-წლამდელთა საბჭოთა კავშირის პირველობის მოგების შემდეგ საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. პირველი დიდი გამოცდაც მაშინ ჩააბარა: 1955 წელს ლენინგრადმა მოფარიკავეთა სოლიდურ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მოხმალავეთა ასპარეზობა ორგზის ოლიმპიურმა და სამგზის მსოფლიოს უნგრელმა ჩემპიონმა რუდოლფ კარპატიმ მოიგო. ამ შეჯიბრებაზე მან ერთადერთი შეხვედრა წააგო და ის მარცხი (4:5) სწორედ 18 წლის ნუგზარ ასათიანისგან იწვნია.

ქართველმა მუშკეტერმა მომდევნო წლებშიც წარმატებით იასპარეზა, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, მაგრამ ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად ეს არ იყო საკმარისი. კანდიდატები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უნდა დაესახელებინა. საუკეთესო ხუთეულში (ოლიმპიადაზე გუნდურში სწორედ ხუთეული მიდიოდა) ადგილის დასაბუებლად 42 მოხმალავე იბრძოდა. ქართველმა მუშკეტერმა საბოლოოდ პირად პირველობაში მეოთხე ადგილი დაიკავა და, ფაქტობრივად, საოლიმპიადედ გამზადებული საბჭოთა ნაკრები „გადაახალისა“, ხოლო მერე გუნდური ასპარეზობის ფინალშიც გავიდა. არმიელთა ღირსებას, ფაქტობრივად, საბჭოთა ნაკრების ძირითადი ბირთვი იცავდა. სტუდენტურ ნაკრებში გამოდიოდნენ ნუგზარ ასათიანი, მორის სახვაძე, ევგენი ჩერეპოვსკი და ვალერი ჟიტნი. ამჯერად გამოცდილებას ახალგაზრდულმა ჟინმა აჯობა. „ბურევესტნიკი“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ასათიანმა კი საკავშირო ნაკრების ოთხივე წევრს აჯობა.

თბილისური ტრიუმფი

ნუგზარ ასათიანმა ხმაურიანი ტიტულების ათვლა 1960 წლიდან დაიწყო. მაშინ საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდა. თბილისში უძლიერესმა მოფარიკავეებმა მოიყარეს თავი. მასპინძელთა ტრიუმფს იური ოსიპოვმა ჩაუყარა საფუძველი – რაპირაში მოიპოვა მთავარი პრიზი, დაშნაში გურამ კოსტავამ დაიმსახურა საპატიო ჯილდო, ხოლო მოხმალავეთა შორის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ნუგზარ ასათიანი ავიდა. სამივე დისციპლინაში საბჭოთა კავშირის თასმა თბილისში დაიდო ბინა, რაც ქართული საფარიკაო სკოლის დიდი გამარჯვება იყო.

საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონატს, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა, უნდა დაესახელებინა ის ხუთეულები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საკავშირო ნაკრებ გუნდებში მოხვდებოდნენ. მოხმალავეთა პირველობაზე 80-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. დილით დაწყებული ორთაბრძოლები ღამის 2 საათამდე გაგრძელდა. ნუგზარ ასათიანმა გადამწყვეტ პაექრობაში ლევ კუზნეცოვს 5:3 აჯობა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. იმავე წელს იგი იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე საკავშირო ნაკრებთან ერთად მეორე ადგილზე გავიდა.

1962 წელს ბუენოს-აირესის მსოფლიოს ჩემპიონატში ქართველი მუშკეტერი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, წლის მიწურულს კი საკავშირო თასი ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა. მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონატი პოლონეთში გაიმართა. მოხმალავეთა გადამწყვეტ მატჩში მასპინძლებისა და საბჭოთა მოფარიკავეების პაექრობა ფრედ დამთავრდა – 8:8. ჩხვლეტათა რაოდენობაც თანაბარი აღმოჩნდა. ოქროს ბედი დამატებით ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. პოლონელმა ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ეჟი პავლოვსკიმ საბჭოელ უმარ მავლიხანოვს სძლია და თავისიანებს ჩემპიონობა მოუტანა. ასათიანი და მისი თანაგუნდელები ვერცხლის მედალს დაყაბულდნენ. სამაგიეროდ, ორი წლის მერე პარიზში აისრულეს ოცნება: ფინალში უნგრელების მძლეველ იტალიელებთან 9:7 გაიმარჯვეს და მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

სანპაულოს ცრემლი და ოლიმპიური ოქრო

სპორტსმენისთვის ნებისმიერი შეჯიბრება და გამარჯვება მნიშვნელოვანია, თუმცა, ოლიმპიურ თამაშებს მაინც ვერაფერი შეედრება. მით უმეტეს, თუ ამ უდიდესი ფესტივალის ტრიუმფატორი ხარ. ნუგზარ ასათიანმა ეს სიხარული ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში განიცადა.

საბჭოთა მოხმალავეებმა 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ზედიზედ სძლიეს იაპონელებს, აშშ-ის ნაკრებს, პოლონელებს და ფინალში იტალიელებს დაუპირისპირდნენ. ბოლო ორთაბრძოლაში ასათიანის „რკინის ხელმა“ 5:3 მოუგო აპენინელ ჯანპაულო კალანჩინის და საბოლოო გამარჯვება მოუტანა საბჭოთა ნაკრებს. აი, როგორ იგონებს იმ ბედნიერ წუთებს 1974 წელს გამოქვეყნებულ წიგნში („მოფარიკავის ჩანაწერები“) ბატონი ნუგზარი: „იმდენად ვღელავდი, რომ შეხვედრის მსვლელობა დაწვრილებით არ მახსოვს... ჩვენი გუნდის წევრები სარბიელზე გადმოცვივდნენ, მეხვევიან, მილოცავენ. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ვიყურები მოწინააღმდეგისკენ. მას საფარიკაო ნიღაბი მოუხსნია, ისმენს თანაგუნდელების დამამშვიდებელ სიტყვებს, თვალები ცრემლით აქვს სავსე. მე მესმის მისი... ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი... რამდენჯერ მიოცნებია ამ უდიდეს პატივზე ბავშვობაში, რა მიუწვდომლად მეჩვენებოდა იგი. ამიტომ ტოკიოს ოლიმპიადა საუკეთესო ფურცელია ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში“...

სწორუპოვარი სპორტსმენი და გულისხმიერი პიროვნება ნუგზარ ასათიანი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან – 1992 წლის 2 აპრილს გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ამხანაგობა „მშენებელის“ (ს/კ: №200286056) საგანი: ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა

ქალბატონო ალინა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) და ამხანაგობა „მშენებელს“ (ს/კ: №200286056) (შემდგომში - მიმწოდებელი) შორის 2017 წლის 31 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. №52-17 ხელშეკრულების (NAT170005584) (შემდგომში - ხელშეკრულება) შესაბამისად, მიმწოდებელი აწარმოებდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-26) ჟინვალი - ბარისახო - შატილის საავტომობილო გზის 51-ე კმ-ზე არსებული ზედა საყრდენი კედლის აღდგენის სამუშაოებს.

ფაქტობრივი გარემოებები

ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებული იყო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დაესრულებინა 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტის მხრიდან ორჯერ იქნა გაგრძელებული (2017 წლის 28 დეკემბრის დანართი №1, 2018 წლის 15 ივნისის დანართი №3) სამუშაოების დასრულების ვადა, მიმწოდებელმა დამატებით ვადაშიც ვერ უზრუნველყო ძალების სათანადო მობილიზაცია და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დადგენილ ვადაში დასრულება. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში მიმწოდებლის მხრიდან ადგილი აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეშ დარღვევას.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოების განხორციელება უნდა დაეწყო 2017 წლის აგვისტოდან. უნდა აღინიშნოს, რომ მიმწოდებელს 2017 წლის მე-3 კვარტალში უნდა შეესრულებინა 150 450 (as ორმოცდაათი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარის (დღგ-ის ჩათვლით) სამუშაოები, ხოლო ფაქტობრივად კი შესრულებული აქვს მხოლოდ 32 346.75 (ოცდათორმეტი ათას სამას ორმოცდაექვსი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის (დღგ-ის ჩათვლით) სამუშაოები. შესაბამისად, დეპარტამენტის 2017 წლის 16 ოქტომბრის №2-07/11357 წერილით მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით. აღნიშნული წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ პირგასამტეხლოს დაკისრება არ ათავისუფლებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან. შესაბამისად, მიმწოდებელს ევალებოდა, დაუყოვნებლივ გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

ხელშეკრულების პირობების (თანდართული ტექნიკური დავალების 1.12. პუნქტი) შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებული იყო, სამშენებლო პროცესების გამჭვირვალობის მიზნით განეხორციელებინა ვიდეოტრანსლაცია სამშენებლო ობიექტიდან, რაც გულისხმობდა სამშენებლო უბნებზე შემსყიდველთან შეთანხმებული რაოდენობისა და ტექნიკური პარამეტრების მქონე ვიდეოსათვალთვალო წერტილ(ებ)ის განთავსებას, რათა სამშენებლო უბნებზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო მოწყობილობებიდან ვიდეონაკადი უწყვეტად მიწოდებოდა დეპარტამენტის კუთვნილ სერვერს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შესახებ მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილებები დეპარტამენტის 2017 წლის 4 აგვისტოს №2-06/8400 წერილით, 2017 წლის 6 სექტემბრის №2-06/9813 წერილით, 2017 წლის 20 სექტემბრის №2-06/10403 წერილით და 2017 წლის 7 ნოემბრის №2-06/12572 წერილით, თუმცა, მიმწოდებლის მხრიდან არ იქნა შესრულებული ვიდეოტრანსლაციის უზრუნველყოფის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის 2017 წლის 17 ნოემბრის №2-07/13188 წერილით მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1% -ის ოდენობით.

ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა არაუგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა (თავდაპირველი ვადა), რაც ვერ უზრუნველყო. შესაბამისად, დეპარტამენტის 2017 წლის 29 დეკემბრის №2-07/15306 წერილით მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილებისთვის. 2017 წლის 28 დეკემბერს ხელშეკრულებაზე გაფორმებული დანართი №1-ის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთვის დეპარტამენტმა მიმწოდებელს მისცა დამატებითი ვადა 2018 წლის 31 მაისამდე. თუმცა, მიმწოდებელმა კვლავ ვერ დაასრულა სამუშაოები დამატებით მიცემულ ვადაში. შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დეპარტამენტის 2018 წლის 19 ივნისის №2-07/7061 წერილით მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით. 2018 წლის 15 ივნისს ხელშეკრულებაზე გაფორმებული დანართი №3-ის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულყოფილად და დროულად დასრულების მიზნით დეპარტამენტის მიერ მიმწოდებლისთვის მიცემული დამატებითი ვადა გაგრძელდა 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდამდე. თუმცა, მიმწოდებელმა კვლავ ვერ უზრუნველყო მისი სახელშეკრულებო ვალდებულების დადგენილ დროში შესრულება და ვერ დაასრულა სამუშაოები აღნიშნულ ვადაში. დღეის მდგომარეობით მიმწოდებელს შესრულებული აქვს 104 978.35 (ას ოთხი ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის (დღგ-ის ჩათვლით) სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების დაახლოებით 32%-ს შეადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების უხეშ დარღვევას, კერძოდ, ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო, შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები და 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდამდე დაესრულებინა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-26) ჟინვალი - ბარისახო - შატილის საავტომობილო გზის 51-ე კმ-ზე არსებული ზედა საყრდენი კედლის აღდგენის სამუშაოები მიუხედავად დეპარტამენტის მხრიდან ხელშეკრულებით დადგენილი ვადის არაერთხელ გაგრძელებისა და მიმწოდებლისთვის მიცემული არაერთი სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილებებისა (წერილები: №2-06/8400; 04.08.2017წ; №2-06/9813; 06.09.2017წ; №2-06/10066; 11.09.2017წ; №2-06/10403; 20.09.2017წ; №2-06/12572; 07.11.2017წ; №2-06/1454; 12.02.2018წ; №2-06/2909; 15.03.2018წ; №2-06/4181; 16.04.2018წ; №2-06/5473; 17.05.2018წ; №2-06/6993; 15.06.2018წ).

სამართლებრივი გარემოებები

იქიდან გამომდინარე, რომ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში და დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, შესაბამისად, ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის თქვენ გეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (324 998.62 (სამას ოცდაოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი) 1%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 3 249.99 (სამი ათას ორას ორმოცდაცხრა ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარს. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მდგომარეობით მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ერთიანი ოდენობა (ხუთივე პირგასამტეხლოს ჯამი) აჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღეში გადაიხადოთ პირგასამტეხლო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე, შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები - სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი – 302003287, გადახდის დანიშნულება: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან. დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სასარგებლოდ გადახდილი პირგასამტეხლო. გთხოვთ, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ დეპარტამენტში წერილობითი სახით (გთხოვთ, მიუთითოთ წინამდებარე წერილის და ხელშეკრულების ნომერი).

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებას, მის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კანონმდებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.5. პუნქტის 9.5.1. ქვეპუნქტი დეპარტამენტს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულების პირობებს. გარდა აღნიშნულისა, ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.5. პუნქტის 9.5.6. ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკი.

დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი ობიექტური გარემოება, რაც შეიძლებოდა, მიმწოდებლის კონტროლს მიღმა ყოფილიყო და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იყო მიმწოდებლის ბრალით. აღნიშნული კი წარმოშობს დეპარტამენტის უფლებას, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რადგან უშედეგოდ არის გასული დამატებით განსაზღვრული ვადაც, კერძოდ, მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დადგენილ ვადაში. ამასთან, მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკი, რაც, ასევე, დამოუკიდებლად წარმოშობს დეპარტამენტის უფლებას, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დეპარტამენტი იყენებს ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.5. პუნქტის 9.5.1. და 9.5.6. ქვეპუნქტებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას.

ზემოაღნიშნული არ უნდა იქნეს განხილული დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნებზე უარის თქმად. ამასთან, დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს საკუთარი უფლებების რეალიზაციის მიზნით.

პატივისცემით,
ირაკლი ძარსელაძე
დეპარტამენტის თავმჯდომარე

პირველკლასელთა რეგისტრაციის ახალი ვადები დადგინდა

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, პირველკლასელთა და მათი მშობლების ინტერესების გათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაციის ახალი ვადები დადგინდა.

„პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ეხებოდა, 2 მარტიდან 16 მარტის ჩათვლით უკვე წარმატებით განხორციელდა, თუმცა, პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, გახანგრძლივდა სკოლაში დოკუმენტაციის წარდგენის ვადა.

კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადად 24 აპრილის ნაცვლად 5 ივლისი განისაზღვრა.

უწყების ცნობით, პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპზე იცვლება როგორც რეგისტრაციის, ასევე დოკუმენტების წარდგენის თარიღი:

რეგისტრაციის მეორე ეტაპი განხორციელდება 11 მაისიდან პირველი ივნისის ჩათვლით, ხოლო დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელი იქნება 11 მაისიდან 5 ივლისის ჩათვლით.

ამ ეტაპზე სკოლაში დარეგისტრირდებიან ბავშვები:

— რომელთა და-ძმა სწავლობს სასურველ სკოლაში;

— მშობელი არის კონკრეტული სკოლის თანამშრომელი;

— ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

რეგისტრაცია განხორციელდება საჯარო სკოლებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. დადგენილ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

რეგისტრაციის მესამე ეტაპზეც იცვლება როგორც რეგისტრაციის, ასევე დოკუმენტების წარდგენის ვადები:

მესამე ეტაპი — საყოველთაო რეგისტრაცია — 2 ივნისს დაიწყება და 25 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო დოკუმენტაციის წარდგენა 2 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე — registration.emis.ge ელექტრონულ რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დადგენილ ვადებში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

რეგისტრაციის ბოლო IV ეტაპზეც ასევე იცვლება რეგისტრაციის და დოკუმენტების წარდგენის თარიღი:

IV ეტაპზე პირველკლასელთა რეგისტრაცია და დოკუმენტაციის წარდგენა 20 აგვისტოს დაიწყება და 10 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

ამ ეტაპზე გამოთავისუფლებულ/ვაკანტურ ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე მოხდება იმ მოსწავლეთა რეგისტრაცია, რომლებიც I, II და III ეტაპებზე ვერ დარეგისტრირდნენ ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.

მოსწავლის რეგისტრაციას მეოთხე ეტაპზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა:

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

ყური კომპიუტერში...

მედიკოსთა შეფასებით, მაღალრისკიან ხანდაზმულთა ჯგუფს მივეკუთვნები და ვფრთხილობ ავადმყოფობა კორონას სადმე არ გადავეყარო. ჩემი დაძაბულობით ისარგებლა ყურმა, რომელიც ადრეც ხშირად მაწუხებდა და მორიგ შეტევაზე გადმოვიდა. რაღას ვიზამდი, იძულებული გავხდი კლინიკებში შექმნილი ხალხმრავლობისთვის თავი ამერიდებინა და ყურის სამკურნალოდ ექიმს ბინაზე ვწვეოდი.

ოტორინოლარინგოლოგი (ქართულად ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი) შავგვრემანი, ტანსრული ქალბატონი პირზე დოლბანდადაფარებული დამხვდა.

– ექიმო, მარჯვენა ყური მაწუხებს. – ვეუბნები.

– რომელი, მარცხენა?

– არა, ხომ გითხარით, მარჯვენა.

– ცოტა ხმამაღლა, ვერ გავიგე.

– მარჯვენა ყური, მარჯვენა! – ვიღრიალე.



– რა გაყვირებთ, ყრუ კი არ ვარ, – აიმრიზა მკურნალი, – ახლოს ნუ მოდიხართ, კანონით დადგენილი ორი მეტრის დისტანცია დაიკავეთ და ისე მელაპარაკეთ.

– ერიჰაა! – შევფიქრიანდი, – ამას ახლოდან არ ესმის და შორიდან რას გავაგებინებ?

ეტყობა, ექიმი მიხვდა ჩემს ნააზრევს და დამიყვავა:

– დაწყნარდით, დღევანდელი ტექნოლოგიის წყალობით, სამკურნალოდ აუცილებელი არ არის ექიმი პაციენტს ჩაეხუტოს და ისე გასინჯოს.

– კი, მაგრამ, ხომ უნდა გაგაგებინოთ, რა მტკივა?

– რა გტკივათ, მაგას კომპიუტერი გაარკვევს, დიაგნოზს დაგისვამთ და მკურნალობას ამის მიხედვით დაგინიშნავთ.

– კომპიუტერი?!

– ჰო, კომპიუტერი, რომელშიც თქვენ ყურს შევიყვანთ.

– მადლობა ღმერთს, – პირჯვარი გადავიწერე, კომპიუტერის გასამრჯელო გადავიხადე და პასუხისთვის მეორე დღეს მივაკითხე. ექიმი ყურებჩამოყრილი დამხვდა.

– დიაგნოზი ვერ დადგინდა, – მითხრა მან.

– რატომ?

– როგორც ჩანს, კომპიუტერი კორონავირუსით დაინფიცირდა. შემთხვევით თქვენ ვირუსული გრიპი ხომ არ გჭირდათ?

– არა, უბრალო გრიპი მქონდა.

– თქვენ უბრალო ეძახეთ, ფაქტია, რომ კომპიუტერმა კორონავირუსი აიკიდა.

– დიდხანს დასჭირდება მკურნალობა?

– არ ვიცი, საანალიზოდ კომპიუტერის ნაცხი ლუგარის ლაბორატორიაში უნდა გავგზავნო. თუ კორონავირუსი დადასტურდა, კომპიუტერის მკურნალობას ორი კვირა მაინც დასჭირდება.

– ორ კვირას რა გამაძლებინებს! – შევშფოთდი.

– მაშინ სხვა ექიმს უნდა მიმართოთ.

მივმართე. დამატებით კიდევ 100 ლარი გადავიხადე და ავადმყოფი ყური კომპიუტერში შევაყვანინე. თქვენ წარმოიდგინეთ, დიაგნოზი ვერც მან დამისვა.

– რა ხდება, ფულს მცანცლავთ, დიაგნოზს კი ვერ მისვამთ! – გავცხარდი.

– ფული არაფერ შუაშია, არასტანდარტული ყური აღმოგაჩნდათ, კომპიუტერი კი მხოლოდ სტანდარტულზე იძლევა პასუხს. ერთი გამოსავალია, თუ 200 ლარს გადაიხდით, თქვენ ყურს ინტერნეტში შევიყვანთ, შესაძლოა, უცხოელი მკურნალები დაინტერესდნენ და რაიმე დაგიდგინონ.

დავთანხმდი, ფული გადავიხადე და პასუხისთვის სამი დღის შემდეგ მივაკითხე.

– არის პასუხი, – მითხრა გახარებულმა მკურნალმა, – თქვენ ყური კი არა, თურმე კბილი გტკივათ და ის რიკოშეტით ყურს გადაეცემა.

– რა უნდა ვქნა? – გავცოფდი.

– სადიაგნოზოდ კომპიუტერში ყური კი არა, კბილი უნდა შეიყვანოთ.

ცუდადაა ჩემი საქმე, კბილიც თუ არასტანდარტული აღმომაჩნდა, ნამდვილად გავგიჟდები, თანაც ახლა, როცა მთელი მსოფლიო კორონავირუსთან ხელჩართულ ომშია ჩაბმული, ჩემი ყურისთვის ვის სცალია?!

ოთარ ხუციშვილი

სიმსივნიანი კორონავირუსისგან განიკურნა

ჟუთაისის ინფექციური საავადმყოფოდან 3 გამოჯანმრთელებული პაციენტი გაეწერა. მათ შორის არის 73 წლის კაცი, რომელსაც თანმხლები სიმსივნური დაავადება ჰქონდა.

მეორე პაციენტი ე.წ. თერჯოლის კლასტერს განეკუთვნება, მესამე კი ვანის მუნიციპალიტეტიდანაა.

საპალატო და სასიცოცხლო სტატისტიკა

საქართველოში კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 5-მდე გაიზარდა. როგორც ცნობილია, გარდაცვლილი ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკაში იყო მოთავსებული.

ბოლო მონაცემებით, ამჟამად, კარანტინის რეჟიმშია 5015 ადამიანი, ხოლო სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ — 573 პირი. ინფორმაციისთვის, 411 ადამიანიდან 98 გამოჯანმრთელებულია, ხოლო 5 გარდაიცვალა. ამასთან, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 3 მოქალაქე. ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკაში კორონავირუსით ინფიცირებული ორი პაციენტი გამოჯანმრთელდა, მათ შორის, ერთი ორი წლის ბავშვია.

„დადასტურებული შემთხვევა გვაქვს 21. ოთხი პაციენტი რჩება საყურადღებო, რადგან მათ ორმხრივი პნევმონია და სუნთქვის გაძნელება აღენიშნებათ. საყურადღებო პაციენტებს შორის არის სასულიერო პირიც, თუმცა, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დანარჩენი პაციენტები თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობენ. სულ კლინიკაში მკურნალობს 48 პაციენტი“, — განაცხადა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მაკა სოლოღაშვილმა.

საქართველომ რეგულარულ ფრენებზე დაშვება 23 მაისამდე გადაავადა

ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში ეპიდვითარების გათვალისწინებით, საქართველომ რეგულარულ ფრენებზე დაშვება უკვე მესამედ გადაავადა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ შესაბამისი NOTAM-ი უკვე გამოაქვეყნა, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ რეგულარულ ფრენებზე დაშვება მოხდება არა 11 მაისიდან, არამედ 23 მაისიდან. სააგენტოს მიერ 22 მაისის ჩათვლით დადგენილი თარიღი არის ამ დროისთვის განსაზღვრული ვადა და ის შესაძლოა ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე შეიცვალოს.

ამერიკის საჰაერო აკადემიის ქართველი კურსდამთავრებული

ამერიკის საჰაერო აკადემია მსოფლიოში საუკეთესო მფრინავებსა და ასტრონავტებს ამზადებს. 2020 წელს აკადემია 967-მა ოფიცერმა დაამთავრა. მათ შორისაა ქართველი სტუდენტი ნოდარ დვალი, რომელიც ამერიკაში მიღებული გათლებით მალე სამშობლოში დაბრუნდება. ქართველმა კურსდამთავრებულმა „იმედის დილაში“ აკადემიაში სწავლის პერიოდი გაიხსენა.

„თავიდან აქ რომ ჩამოვედი, პატარა ბავშვივით ვუყურებდი ყველაფერს, რადგან პირველად მოხდა ისე, რომ ვთქვათ, ვიღაცამ დამიყვირა და მე პასუხის გაცემის უფლება არ მქონდა. ცუდი დღე მქონდა და იმის მაგივრად, რომ ვიღაცას გავემხნევებინე, ზემოდან მიმატებდნენ, მაგრამ ამ ყველაფერმა, ალბათ, გამაძლიერა. საჭიროა აქ ეგრე გაიცადო, რადგან ოთხი წლის განძილზე ერთი ან ორი კვირა ისე გაგრძელდეს, რომ არანაირი პოზიტივი არ დაინახო აქ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ღირდა ეს ყველაფერი“, – განაცხადა დვალმა.

მისივე თქმით, 86 კურსდამთავრებული ამერიკის კოსმოსური ძალების წევრი გახდა. ეს პირველად მოხდა, რადგან პრეზიდენტმა ტრამპმა ამის შესახებ დეკემბერში მოაწერა ხელი, რომ მსგავსი სერვისი ჩამოყალიბებულიყო. დაახლოებით 600 კურსდამთავრებული კი ამერიკის სამხედრო პილოტი იქნება, რომლებიც შემდეგ ძირითადად ნატოში, ამერიკის შეერთებული შტატების თეთრ სახლში, პენტაგონში იმუშავებენ. 100 კურსდამთავრებული ინტელიგენციის ოფიცერი ან ლოჯისტიკის ოფიცერი გახდა.

დვალი მეხუთე ქართველია, რომელიც ამერიკის საჰაერო ძალების აკადემიას დაამთავრებს.

ბრიტანეთის დედოფალი 94 წლისა გახდა

კენსინგტონის სასახლემ გამოაქვეყნა ფოტო, რომელიც პანდემიის დაწყებამდეა გადაღებული. პრინცი უილიამი და ქეით მიდლტონი საუკეთესო სურვილებით დედოფალს დაბადების დღეს ულოცავენ.

ბრიტანეთის დედოფალი თავის 94-ე დაბადების დღეს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ვიდეოკონფერენციით აღნიშნავს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა დედოფალ ელისაბედ მეორის ტახტზე ასვლის შემდეგ მისი იუბილის აღსანიშნავი ღონისძიებები გაუქმდა. ბრიტანეთის დედოფალი დაბადების დღეს ორჯერ აღნიშნავს – 21 აპრილს ტრადიციულად, ხოლო ივნისის მეორე კვირას ოფიციალურად.

ოქტობერფესტი გაუქმდა

კორონავირუსის პანდემიის გამო, ცნობილი ოქტობერფესტის ღონისძიება გერმანიაში გაუქმებულია.

„კორონავირუსთან ცხოვრება ნიშნავს ფრთხილად ცხოვრებას. სანამ ვაქცინა არ დამზადდება, ფრთხილად უნდა იყოთ. ჩვენ ვთანხმდებით, რომ რისკი ძალიან დიდია“, – თქვა ბავარიის პრემიერ-მინისტრმა ზიოდერმა. მანამდე ცნობილი იყო, რომ გერმანიაში ყველა მასშტაბური ფესტივალი და ღონისძიება 31 აგვისტოს ჩათვლით გაუქმდა. ოქტობერფესტი ყოველწლიური ორკვირიანი სახალხო დღესასწაულია გერმანიაში, ბავარიის დედაქალაქ მიუნხენში. ტარდება სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში.

ოქტობერფესტი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ფესტივალია, რომელსაც ყოველწლიურად 6 მილიონამდე ადამიანი ესწრება. დღესასწაული მსგავსი სახელით სხვა ქალაქებშიც ტარდება, თუმცა ტრადიცია დასაბამს მიუნხენში იღებს.

მსოფლიო შიმშილის რისკის წინაშეა

კორონავირუსის გამო მსოფლიო „ბიბლიური მასშტაბის“ შიმშილის რისკის წინაშეა, – ამის შესახებ გაეროში განაცხადეს. „მსოფლიო საკვების პროგრამის“ ხელმძღვანელის, დევიდ ბიზლის განცხადებით, კატასტროფის თავიდან ასარიდებლად, სასწრაფო ზომებია მისაღები. გაეროში აცხადებენ, რომ განსაკუთრებული რისკის ქვეშ ათი ქვეყანაა, რომელიც კონფლიქტებისგან, ეკონომიკური კრიზისისა და კლიმატური ცვლილებებისგან არის დაზარალებული. „საკვების კრიზისის გლობალურ ანგარიშის“ მიხედვით ეს ქვეყნებია: იემენი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ავღანეთი, ვენესუელა, ეთიოპია, სამხრეთ სუდანი, სუდანი, სირია, ნიგერია და ჰაიტი.

„თუ ჩვენ ვერ მივაწვდით ამ ადამიანებს მათთვის საჭირო სასიცოცხლო დახმარებას, ჩვენი ანალიზი აჩვენებს, რომ შესაძლოა, სამი თვის განმავლობაში ყოველდღიურად 300 000 ადამიანი დაიღუპოს შიმშილით“, – განაცხადა დევიდ ბიზლიმ.

გარდაიცვალა ლეგენდარული მულტფილმის რეჟისორი



ოსკარის მფლობელი ილუსტრატორი და ლეგენდარული მულტფილმის „ტომი და ჯერი“ რეჟისორი ჯინ დეიჩი გარდაიცვალა. კარიერის განმავლობაში ის კრეატიულ დირექტორად მუშაობდა ანიმაციურ სტუდიაში Terrytoons. ასევე, როგორც რეჟისორმა მიიღო მონაწილეობა ამერიკული მულტფილმის პერსონაჟის Popeye შექმნაში.

95 წლის ჯინ დეიჩი პრაღაში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა, მიზეზი ჯერ არ სახელდება. ლეგენდარულ მულტფილმს „ტომი და ჯერი“ 80 წელი თებერვალში შეუსრულდა. მულტფილმის პირველი სერია 1940 წლის 10 თებერვალს გამოვიდა. მულტფილმი კომპანია Metro-Goldwyn-Mayer-ის ანიმაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უილ ჰანამ და ჯო ბარბერამ შექმნეს და თავდაპირველად მას Puss Gets the Boot, კატას – ჯასპერი, თაგვს კი ჯინქსი ერქვა.

სად დაეხეტებოდი 7 წელი?..

ავსტრალიაში, ტასმანიის შტატის სოფელ დანოლიში იპოვეს ცხვარი, რომელიც 2013 წელს ფერმიდან ტყის ხანძრების დროს დაიკარგა. ცხვარი სახელად Prickles ფერმიდან 7 წლის წინ გაიქცა, როცა ტასმანიის შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხანძარი მძვინვარებდა.

გაქცეული ცხვარი ფერმის მფლობელებმა ფარეხის ახლოს იპოვეს. ის მატყლის გორგალს ჰგავდა. გაკრეჭილი მატყლის წონამ 41 კილოგრამი შეადგინა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიძოგავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

საქართველოს რესპუბლიკა
უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1696; ევრო - 3.4343;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9116;
100 რუბლი - 4.1409; თურქული ლირა - 0.4551;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8702;
1000 სომხური დრამი - 6.5869.

ამინდი 23 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	–1,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge